# „ლელო“ დამდეგ ახალ წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს მკითხველებს, ყველა თაობის სპორტსმენებს, სპეციალისტებს და ქართული სპორტის ქომაგებს. გვიმრავლოს წარმატებები!


გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 102
(11 968)

30 დეკემბერი, 2005 წ. – 9 იანვარი, 2006 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ფიფა გვილოცავს!

ტრადიციულად (1995 წლიდან მოყოლებული) „ლელოს“ რედაქციას ფიფა ულოცავს ახალ წელს. გამონაკლისი არც ახალი წელია. აი, ასე გამოიყურება ფიფას ახალი, 2006 წლის საახალწლო მისალოცი.






## საახალწლო მილოცვა



*მაქვს პატივი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და პირადად ჩემი სახელით, მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი ჩვენი ქვეყნის ყველა თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს სპორტის ფუნქციონერებს, ყველას, ვინც დაკავშირებულია ქართული სპორტის სამსახურთან.*

*ვეგებებით რა, ახალ, 2006 წელს, 2008 წლის ოლიმპიური ციკლის მეორე წელიწადს, სიამაყით ვაცილებთ წლევანდელ წელს, რომელიც ქართული სპორტის ისტორიაში ადგილს დაიმკვიდრებს არა მხოლოდ მაღალი სპორტული მიღწევებით, რასაც ჩვენმა ათლეტებმა საერთაშორისო სარბიელზე მიაღწიეს, არამედ იმითაც, რომ მყარი საფუძველი ჩაეყარა მასობრივ სპორტს და, საერთოდ, სპორტის საყოველთაობას ქვეყანაში. გაშენდა უამრავი საბავშვო მოედანი, გაიხსნა ახალი სპორტული სკოლები, დარბაზები, რეგიონებს დაურიგდათ სპორტული ინვენტარი, შემუშავდა წინსვლის ახალი პროექტები. წარმატებით ხორციელდება ქვეყანაში „სპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციის პროგრამა“. დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა სპორტს — მომავალ ოლიმპიელთა ბაზისს.*

*ყველაფერი ეს და სხვა პროგრამები სრული მოცულობით ჰპოვებს განვითარებას ახალ, 2006 წელს, სპორტული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით.*

*კიდევ ერთხელ მოგილოცავთ დამდეგ ახალ წელს.*

*გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას და ყოველგვარ სიკეთეს.*

***დავით ნამგალაური,***
***საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.***

## ზეიმი შედგა და ღირსეულადაც...

საქართველოს სპორტის აღმავლობა 2004 წლიდან დაიწყო, რაც ათენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში დადასტურდა. სპორტის დეპარტამენტმა დავით **ნამგალაურის** თაოსნობით, ბოლო წლებში სათავე დაუდო ბევრ სიახლეს, რომელთა შორის ერთ-ერთი მათგანი გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამებისა და წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების საზეიმოდ აღნიშვნაა. ეს ღონისძიება გუშინწინ პირველად გაიმართა „ბერიკონის“ სარიტუალო დარბაზში და უდავოდ დაიმსახურა საერთო მოწონება. ყველაფერი ჩინებულად იყო ორგანიზებული, რაშიაც დიდია დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **გია გალდავას**, თავმჯდომარის მოადგილის **ედიშერ მაჩაიძის**, ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის **ირაკლი სამყურაშვილის** დამსახურება.


რევაზ მინდორაშვილს აჯილდოებს გია ხევიაშვილი
ფოტო რობერტ ბაგოიანისა

საზეიმო ღონისძიების დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით. ვიტყვით მთავარს — სპორტის დეპარტამენტმა რამდენიმე ნომინაციაში დაასახელა 2005 წლის სპორტული ლაურეატები.

წლის საუკეთესო ფედერაციად გამოცხადდა **ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.**

წლის საუკეთესო კლუბის პრიზი გადაეცა **საჭადრაკო კლუბ ნტნ-ს,** რომლის ქალთა გუნდი ორჯერ ზედიზედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

წლის საუკეთესო ნაკრებად აღიარეს **საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა გუნდი.**

წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად გამოცხადდნენ: გოგონებში — ბატუტისტი **ლუბა გოლოვინა** და ძალოსანი — **არსენ კასაბიევი.**

წლის საუკეთესო მწვრთნელის სახელი მიენიჭა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს — **ზაზა თურმანიძეს.**

წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად დასახელდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი.**

წლის საუკეთესო გადაცემად მიჩნეულია ტელეკომპანია „მზეზე“ ლაშა **დვალიშვილის** საავტორო პროგრამა „ავტოგრაფი“.

რაღა თქმა უნდა, ყველა მოუთმენლად ელოდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელებას. ელოდა არა იმიტომ, რომ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა ლაურეატის ვინაობაში. მოლოდინი დაკავშირებული იყო იმ ამაღელვებელ მომენტთან და სიამაყის ახლა უკვე კიდევ ერთხელ საზეიმოდ განცდასთან, რაც წლეულს ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავემ **რევაზ მინდორაშვილმა** მოგვანიჭა. დიახ, საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის საპატიო წოდება სწორედ რევაზ მინდორაშვილს ხვდა წილად.

ვიტყვით, რომ ისევე, როგორც საქმეში, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ხელისუფლება ამ საზეიმო შეხვედრაზეც ერთად იყო. წლის ლაურეატთა დაჯილდოებაში კი პარლამენტის და მთავრობის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

## „დინამო“: ქართული სპორტის წარსული, აწმყო და მომავალი




ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი რომ დიდი ხანია სავალალო დღეშია, ყველამ კარგად იცის. ადრე საქართველოს და თბილისის სპორტული ცხოვრების გულისგული უნიკალური საფეხბურთო არენით, დახურული დარბაზებით, საცურაო აუზით და საერთო საცხოვრებლით იწონებდა თავს. აქვე იყო „ოსტატთა კლუბი“ სააქტო დარბაზით, მუშაობდა რესტორანი. ახლა ყველაფერი განადგურებულია და მზრუნველ ხელს ელოდება.

„გადმოგვცენ ჩვენ და ყველაფერს აღვადგენთ, ისევ დავუბრუნებთ ქართული სპორტის ადგილისდედის სტატუსს ხალხის უსაყვარლეს ამ ისტორიულ სპორტულ ნაგებობას“ — ადრეც უთქვამს და ახლა კიდევ ერთხელ განაცხადა საზოგადოება „დინამოს“ სამართალმემკვიდრის ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ


იხ. მე-2 გვ.


ჩვენ და გაერო

## პირველი დასრულდა...

**თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში დასრულდა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პირველი ღონისძიება „მხიარული შეჯიბრებები“. როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, ხსენებულ პროგრამაში ჯერ მხოლოდ საქართველოს 5 რეგიონი (შერჩევით) ჩაერთო.**

**ბოლო დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩოხატაური — ახმეტა 6:12, ბერულა — ქობულეთი 10:8, ჭიათურა — ახმეტა 8:10.**

**სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ გუნდური პირველობა და გარდამავალი თასი მოიპოვა ახმეტის (მე-2 სკ) გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდა ჭიათურა (მე-9 სკ), მესამეზე — ერედვის თემის სოფ. ბერულას სკოლა, მეოთხე იყო — ქობულეთის (მე-6 სკ), მეხუთე — ჩოხატაურის (1-ლი სკ) გუნდები.**

**გამარჯვებულს და პრიზიორებს, როგორც გუნდებს, ისე თითოეულ სპორტსმენს გადაეცათ შესაბამისი დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.**

## გუშინ. დღეს, ხვალ...

**გუშინ.** საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გაიხსნა კრივის რეკონსტრუირებული დარბაზი. საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის, სპორტის დეპარტამენტის, კრივის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები და ვეტერანი ოლიმპიური ჩემპიონები.

**დღეს.** საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გაიმართება აკადემიის პედაგოგიურ-სამეცნიერო საბჭოს სხდომა.

**ხვალ.** საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია დაასახელებს 2005 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენს. დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება „შერატონ მეტეხ-პალასში“.

## სეოკ-ის კონკურსის შედეგები

შეჯამდა და სეოკ-ის აღმასკომმა დაამტკიცა სეოკ-ის კულტურის, ოლიმპიური განათლების და საგამომცემლო-სააგიტაციო კომისიის დადგენილება „ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლების და სპორტულ საკითხებზე საუკეთესო სამეცნიერო-მეთოდური, სასწავლო, ასევე ოლიმპიზმის პროპაგანდის საკითხებზე პროფესორ ა. ციბაძის სახელობის 2005 წლის კონკურსის“ შედეგები.

საქართველო
GEORGIA

გამარჯვებულად სცნეს: **პირველ ნომინაციაში** — სახელმძღვანელო — „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები“. ორ წიგნად (2002-2004). ავტორთა კოლექტივი — **გიული კახიძე** (ხელმძღვანელი), **შოთა ბუაძე, ნოდარ აღდგომელაშვილი, მამია ტუღუში, ვასილ ბაკაშვილი, თენგიზ ხერხეულიძე, ოთარ ვახანია.** ერთი პრემია — 500 ლარი.

**მეორე ნომინაციაში** — სამეცნიერო ნაშრომი: 1. პროფ. **მამია ყოლბაია** „სპორტის ფსიქოლოგია“; 2. პროფ. **ჯუანშერ ზალდასტანიშვილი,** დოცენტი **ლ. ბიბილეიშვილი** „ვალეოლოგია. ჯანსაღი ცხოვრების წესი“. ორი პრემია, თითოეული 300-300 ლარი.

**მესამე ნომინაციაში** — სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი: 1. პროფ. **ზურაბ კახაბრიშვილი** „მაღალი კვალიფიკაციის მოჭიდავეების საწვრთნო პროცესის სამედიცინო საფუძვლები“; 2. **თემურ მიქიაშვილი** „სპეციალური ოლიმპიადა და ადაპტიური ფიზიკური აღზრდა“. ორი პრემია, თითოეული 200-200 ლარი.

**მეოთხე ნომინაციაში** — ოლიმპიზმი და ოლიმპიური განათლება: 1. **თენგიზ გაჩეჩილაძე** „საქართველოს ოლიმპიური უღელტეხილი“; 2. **თენგიზ გიორგაძე** — „ლელო“ და ლელოელები“. ორი პრემია, თითოეული 400-400 ლარი.

**მეხუთე ნომინაციაში** — სატელევიზიო გადაცემები. **ალექსანდრე ჟღენტი** „მე სტადიონი ვარ“ (სატელევიზიო სცენარი). ერთი პრემია — 200 ლარი.

**მეექვსე ნომინაციაში** — პუბლიცისტური წერილები: 1. **გივი ყირმელაშვილი** — „ვაშენოთ მომავალი“; 2. **ცოტნე გაჩეჩილაძე** „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული“ (პატრიოტული ბანაკების შესახებ). ორი პრემია, თითოეული 200-200 ლარი.

## ევროპის საფეხბურთო ნაკრები დასახელდა

**ცნობილმა პოპულარულმა ფრანგულმა გამოცემამ „ეკიპმა“ წლის შედეგების მიხედვით დაასახელა ევროპის სიმბოლური ნაკრები: მეკარე — გრეგორი კუპე („ლიონი“); მცველები: სანიოლი („ბაიერნი“), ტერი („ჩელსი“), კარაგერი („ლივერპული“), მალდინი („მილანი“); ნახევარმცველები: კაკა („მილანი“), ლემპარდი („ჩელსი“), ჯერარდი („ლივერპული“), რონალდინიო („ბარსელონა“); თავდამსხმელები: შევჩენკო („მილანი“), ეტო'ო („ბარსელონა“).**



ამ დღეებში ვეტერან ფალავანს და მწვრთნელს **ანზორ ზურაბაულს** დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მშობლიურ საგარეჯოში ქართული სპორტის სახელოვან წარმომადგენელს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

სურათზე: იუბილარს მიესალმება საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ედიშერ მაჩაიძე.

**ფოტო რობერტ ბაგოიანისა**

## მიეძღვნა შობა — ახალ წელს!



თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სკოლამ (დირექტორი **ლუდვიგ დალანიძე**) შობა ახალწლისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ჩაატარა კადეტთა (1990-1992 წწ) შორის. მონაწილეობდა თბილისის და რუსთავის ნაკრებების 50-მდე მოფარიკავე.

საგულისხმოა, რომ სპორტული ატრიბუტიკის გარდა, გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, რომლის ხარჯები გაიღო აშშ-ის მოქალაქემ, ამ ქვეყნის მოფარიკავეთა ნაკრების მწვრთნელმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა **გია კვარაცხელიამ.**

**კვარცხლბეკი. დაშნა. გოგონები (უმცროსები):** 1. ნინო დოლონაძე (თბ), 2. ნატო ხაჩიძე (რუსთ), 3. ქეთი ჰელიძე და ნინო ინასარიძე (ორივე — თბ); **უფროსები:** 1. ნინო ქართველიშვილი (თბ), 2. თათია ზურაბიშვილი (რუსთ), 3. ანი ზვიადაძე და ელენე ბაქრაძე (ორივე — თბ). **ჭაბუკები (უმცროსები):** 1. ლევან მამულაშვილი, 2. შალვა მაქაცარია, 3. ნიკა გუჯეჯიანი და რონ კასრაძე (ყველა — თბ); **უფროსები:** 1. ზვიად სისაური (თბ), 2. კობა ნაცარაშვილი (რუსთ), 3. ირაკლი კურტანიძე და გიორგი ექვთიმიშვილი (ორივე — თბ). **რაპირა. გოგონები. უფროსები:** 1. ციმი ხარხელაური, 2. ხატია უბილავა, 3. ქეთი გოგიაშვილი (სამივე — თბ); **ჭაბუკები. უფროსები:** 1. ზვიად ფერაძე, 2. სანდრო სიხარულიძე, 3. არჩილ უგულავა და ბაჩუკი ბერიძე (ყველა — თბ).

**ლუდვიგ დალანიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრნელი ფარიკაობაში, ეროვნული კატეგორიის მსაჯი.**

# ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელები

**სპორტში მთავარი შემოქმედი რომ მწვრთნელია, ეს აქსიომაა. როგორ ესახებათ თანამედროვე მწვრთნელი თანამედროვე ახალგაზრდებს, მომავალ სპეციალისტებს, რომლებიც ცდილობენ შეძლებისდაგვარად ჩასწვდნენ ამ მეტად საინტერესო პროფესიის ადამიანთა დანიშნულებას XXI საუკუნეში. დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს გვიზიარებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი, სპორტულ ჟურნალისტიკაში „ლელოს" სტაჟიორი ნინო ქვლივიძე.**

ყველამ იცის, რომ მწვრთნელს განსაკუთრებული როლი აკისრია სპორტში. სწორედ მისგან იხსნება სპორტული სამყარო. იგია თავი და თავი სპორტული მოძრაობისა, მოძლვარი ჩემპიონთა და რეკორდსმენთა. ზოგადი და პროფესიული ღრმა განათლება, თანამედროვე სპორტული მიღწევების, განსაკუთრებით მის სახეობაში დაგროვილი გამოცდილების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, გამუდმებული ძიება და სწრაფვა სიახლისაკენ — აი, როგორ გვესახება თანამედროვე მწვრთნელი.

რა თქმა უნდა, სასურველია მწვრთნელი დიდი სპორტიდან მოდიოდეს, მთავარია, ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად აღმოაჩნდეს პედაგოგიური ალღო, სრულფასოვნად იყოს გარკვეული სპორტსმენთა ზნეობრივად აღზრდის საკითხებში. გააჩნდეს თავისებური მიდგომის უნარი. შეგირდებს სრულად უნდა იცნობდეს, ერთდროულად იყოს ჭკუის დამრიგებელიც და მეგობარიც, რაც მუშაობას გაუადვილებს.

ჩემი აზრით, ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულება ბავშვთა მწვრთნელებს უწევთ. ისინი ყველაფერს ნულოვანი წერტილიდან ანუ დედაენის შესწავლის დარად, „ანბანით" იწყებენ. სპორტული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ილეთების შესწავლასაც გააჩია თავისი საიდუმლოებები. ამასთან, ბავშვებთან მუშაობა გაცილებით დიდ ენერგიას მოითხოვს. გიგანტური შრომაა საჭირო, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელი ხომ დიდი სპორტის მესაძირკვლეა.

დამეთანხმებით, სწორედ ბალავარის სიმყარეზე და გამძლეობაზეა დამოკიდებული შენობის სიმყარეც და ხარისხიც. ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელია მოზარდში სპორტული სულის აღმომჩენი და გზის გამკვლევი წინ... მომავლისაკენ!

მადლიერების გრძნობა... აი, ხშირად რა გვავიწყდება და რას ვერ ველენთ იმ მწვრთნელთა მიმართ, ვინც ამას იმსახურებს. ვთქვათ, მწვრთნელმა აღზარდა ნიჭიერი მოსწავლე და შემდეგ ის ნაკრების მწვრთნელს გადაულოცა... მორჩა, იმ პირველის სახელს მეტწილად აღარავინ ახსენებს, არავინ იკითხავს. დიახ, გარდა იმისა, რომ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელების შრომა ძალზე მძიმეა, ამასთან, ეს გარჯა დაუფასებელიცაა. საზოგადოების ვალია სათანადოდ დავაფასოთ ამ ადამიანთა ღვაწლი, რათა მუშაობის ხალისი არ გაუნელდეთ.

აი, ასეთი შესავლის შემდეგ მინდა გაგაცნოთ ორი ახალგაზრდა, ორი ყოფილი სპორტსმენი, ორი მწვრთნელი... ისინი ერთად უდგანან სათავეში საგარეჯოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბავშვთა გუნდს. ერთად მოაგროვეს ეს ბავშვები, 1997-98 წლებში ერთად დაიწყეს სამწვრთნელო მოღვაწეობა და იქიდან მოყოლებული ერთად მოდიან.

ამ ახალგაზრდა სპეციალისტებმა ნაწილობრივ უკვე მოიმკეს შრომის ნაყოფი... რამდენიმე მოსწავლემ (მიუხედავად მცირე ასაკისა) უკვე თავი გამოიჩინეს ევროპის მასშტაბით, არიან საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები. მაგრამ ეს დასაწყისია მხოლოდ. ახლა კი უფრო ახლოს გავეცნოთ ბავშვებთან მომუშავე ამ მწვრთნელებს.

**რამაზ ასაბაშვილი:** დაიბადა 1972 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში. 1985 წელს დაიწყო ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში ვანო მეკოკიშვილთან. 1986 წლიდან გლდანის სპორტსკოლაშია. 17 წლისა სსრკ სპორტსკოლების ჩემპიონი გახდა. იმარჯვებდა სხვადასხვა საკავშირო ტურნირებსა და სპარტაკიადებში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი, უფროსი, 5 წლისაა და უკვე აქტიურად ვარჯიშობს.

**ზაზა ლაფერიშვილი:** დაიბადა 1971 წელს საგარეჯოში. 1981 წელს დაიწყო ვარჯიში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვასო ლაფაჩიშვილთან. 1986-91 წლებში იყო ნაკრების წევრი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ მეორე პრიზიორი, გახდა სპორტის ოსტატი. 1991 წელს ხერხემალზე მიღებული ტრავმის გამო ვეღარ შეძლო ვარჯიშის გაგრძელება.

შვიდი წლის წინათ, ამ მწვრთნელებმა მეორე-მესამე კლასელებისგან დააკომპლექტეს გუნდი და შეუდგნენ მუშაობას. ეს ბავშვები მათთვის ყველაფერია, ცხოვრების მიზანია. ამ შვიდი წლის მანძილზე ბევრი გაჭირვება გამოიარეს: ზამთარში გაყინული დარბაზი, არანაირი პირობები, მხოლოდ ენთუზიაზმი...

რაც ყველაზე მთავარია, მატერიალური გაჭირვება! რაიონის ბიუჯეტში არასდროს იყო ფული ბავშვების შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად. თხოვნაზე კი მწვრთნელები ასეთ დამამცირებელ პასუხს იღებდნენ: ჯერ პატარები არიან, გაიზრდებიან და მერე ატარეთო!..

მწვრთნელებმა მითხრეს: ვინ არ იცის რაოდენ მნიშვნელოვანია შეჯიბრებაზე გამოსვლა. სხვანაირად წინსვლა-დაოსტატება შეუძლებელია. ერთი შეჯიბრება იმდენს აძლევს ბავშვს, რასაც 2-3 თვის ვარჯიშით ვერ მიიღებს. „შინიდან" გასვლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მწვრთნელებმა კარგად იციან ისიც, რომ ჭკვიანი სპორტსმენი სხვის ჭიდაობასაც აკვირდება, შეცდომებს ითვალისწინებს, სხვის ილეთებს და ჭიდაობის სტილს აკვირდება, იხვეწება, უყალიბდება სპორტული ქინი. სამწუხაროა, რომ საგარეჯოელი ჭაბუკები ხშირად მოკლებულნი არიან ამ ბედნიერებას.

„დასავლეთ საქართველოში სისტემატურად ტარდება ტურნირები, მაგრამ ჩვენ ვერ მივდივართ იმის გამო, რომ ძვირი ჯდება... ამ თანხით რამდენჯერმე ჩავალთ თბილისში. თუმცა, ხარისხი დასავლეთისა უკეთესია, მონაწილეობენ საქართველოს კუთხეების წარმომადგენლები და ხშირად — უცხოელებიც. ყველას თავისი სტილი აქვს და ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ იხილონ სიახლეები, შეიძინონ საშეჯიბრო გამოცდილება.

ახლა როგორღაც მოხერხდა და ამბროლაურში გავემგზავრეთ გურამ სალარაძის სახელობის ტურნირზე. მხოლოდ 7 ბავშვის წაყვანა შევძელით. მაგრამ ჩვენი სათქმელი მაინც ვთქვით და გუნდური პირველი ადგილით დავბრუნდით. წამოვიღეთ ოქროს — ოთხი, ვერცხლის და ბრინჯაოს თითო მედალი, კიდევ სპეციალური პრიზი ლამაზი და ტექნიკური ჭიდაობისთვის.

საშუალება რომ ყოფილიყო, 3-4 ბავშვს კიდევ დავამატებდით, ისინიც ჩემპიონები თუ არა, პრიზიორები მაინც გახდებოდნენ. პირობები რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, მეტს მივაღწევდით", — ამბობს რამაზ ასაბაშვილი.

მიუხედავად ყველაფრისა, ახალგაზრდა მწვრთნელები მაინც ენთუზიაზმით აგრძელებენ საყვარელ საქმეს. დარბაზში მოუხარიათ იმიტომ, რომ იქ ბავშვები ელოდებიან, ბავშვები, რომელთა ცხოვრებითაც ცხოვრობენ „მართვეთა დაა..რთიანებლები".

აი, ვსაუბრობთ და თვალი მათკენ უჭირავთ, დროდადრო შენიშვნებს აძლევენ, ამხნევებენ... ასეთები არიან ზაზა და რამაზი, კარგ მოქალაქეებად და ქართული სპორტის ხვალინდელი დღის იმედად რომ ზრდიან შეგირდებს.

ნინო ქვლივიძე

**P.S. თაობა თაობას ცვლის. ძველები მიდიან... ახლები მოდიან... საცაა დაფრთიანდებიან და დატოვებენ მშობლიურ „ბუდეს" საგარეჯოელი ყმაწვილებიც. დაადგებიან დიდ გზას, სადაც, რა თქმა უნდა, მოუწევთ ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის უმთავრესი მიზნით: თავაწეულები, მაღალი სპორტული ჯილდოებით მკერდდამშვენებულები დაუბრუნდნენ საქართველოს, მშობლიურ საგარეჯოს.**

**ცხადია, გულსატკენია, როცა გამარჯვების წუთებში შენს შეგირდთან არ ხარ. მაგრამ მათი წარმატება ხომ მწვრთნელების, განსაკუთრებით კი, პირველი მწვრთნელების გამარჯვებაცაა...**

**მინდა წარმატებები, გამძლეობა და შრომის უშრეტი უნარი ვუსურვო ყველა მწვრთნელს, განსაკუთრებით, ბავშვებთან მომუშავეებს. დაჰფასებოდეთ შრომა და წვალება. ბევრი სახელოვანი ადამიანი აღეზარდოთ. ღირს თავგანწირვა, როცა შენი აღზრდილი დაგიფასებს ამაგს, გასახელებს. და თუნდაც ერთი მსოფლიო თუ ოლიმპიური მედალი ტკბილად მოგაგონებს გაჭირვებას და გამარჯვებებს, რაც ერთად გამოიარეთ.**

# მოზარდთა დიდი ასპარეზობა

ქარატე. საქართველოს ჩემპიონატი

ამ დღეებში დილმის საჭიდაო კომპლექსმა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა სეიბუკაი კიოკუშინ კარატეში, რომლის ორგანიზატორი იყო ამ სახეობის საქართველოს ფედერაცია. სარბიელზე გამოვიდნენ 9-დან 18-წლამდე სპორტსმენები 16 წონით კატეგორიაში. მონაწილეობდა 15 კლუბის



142 სპორტსმენი: თბილისიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან, ქობულეთიდან, ზუგდიდიდან, გარდაბნიდან, ჩოხატაურიდან, სოფ. მარტყოფიდან. კლუბებისა და მონაწილეთა წარმომადგენლობა ასეთი იყო: სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციიდან 54 მონაწილე; იკოტეზუკას ფედერაციიდან — 27; გოჯორიუს ფედერაციიდან — 23; იკო მაცუშიმას ფედერაციიდან — 20; შინ კიოკუშინ კარატეს ფედერაციიდან — 15, ტაეკვონდოს ფედერაციიდან — 3.

**კვარცხლბეკი: 9-11 წ. 30 კგ-მდე:** 1. დილარ თავდგირიძე (გოჯორიუს ფედ.), 2. დავით ობოლაშვილი (შინ-კიოკუშინ კარატეს ფედ.), 3. გიორგი მჭედლიშვილი (იკო ტეზუკას კიოკუშინ კარატეს ფედ.); **35 კგ-მდე:** 1. ლევან კვირჩილაძე, 2. ლაშა მეტრეველი, 3. ხვიჩა ვიბლიანი (სამივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **40 კგ-მდე:** 1. ბექა ბერიძე (გოჯორიუს ფედ. ბათ), 2. ლაშა კეშელავა, 3. სანდრო გემაზაშვილი (ორივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **45 კგ ზევით:** 1. გიორგი ჰეპაშვილი, 2. ლაშა ყმარაული, 3. გიორგი ყურაშვილი (სამივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.).

**12-13 წ. 35 კგ-მდე:** 1. აკაკი ბაგუა, 2. დიმიტრი ქიზიყურაშვილი, 3. მამუკა სამხარაძე (სამივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **40 კგ-მდე:** 1. შოთა ჩინჩალაძე, 2. საბა ახალკაცი, 3. ბიძინა სამხარაძე (სამივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **45 კგ-მდე:** 1. გიორგი კვანჭიანი (იკო მაცუშიმას კიოკუშინ კარატეს ფედ.), 2. გაიოზ შეპტიშვილი (შინკიოკუშინ კარატეს ფედ.), 3. ნიკა პაპიაშვილი (სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **45 კგ-ზევით:** 1. მურთაზ ხოზრევანიძე, 2. ელგუჯა კილაძე (ორივე — გოჯორიუს ფედ.), 3. ლევან ახალაია (სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.).

**14-15 წ. 50 კგ-მდე:** 1. გიორგი კახაშვილი (იკო ტეზუკას კიოკუშინ კარატეს ფედ.), 2. ბაჩანა შურღაია, 3. აკაკი მერაბიშვილი (ორივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **55 კგ-მდე:** 1. ჯოვანი ჯინჭარაძე (იკო მაცუშიმას კიოკუშინ კარატეს ფედ.), 2. არსენ აკოპიანი, 3. რევაზ გორგოძე (ორივე — გოჯორიუს ფედ.); **60 კგ-მდე:** 1. კახაბერ ლაჟღონია, 2. ვანო ბედუკაძე, 3. ილია ქოჩიაშვილი — (სამივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **60 კგ-ზევით:** 1. ბაჩუკი ვეკუა, 2. ანდრო ბერიძე (ორივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.), 3. ბექა ბერიშვილი (იკო მაცუშიმას კიოკუშინ კარატეს ფედ.).

**16-17 წ. 60 კგ-მდე:** 1. მირონ მამოევი, 2. დავით წერეთელი, 3. ვასილ გასვიანი (სამივე — სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **65 კგ-მდე:** 1. ვანო ხარძიანი (სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.), 2. გრიგოლ თევდორაშვილი (იკო მაცუშიმას კიოკუშინ კარატეს ფედ.), 3. გელა დავითაძე (გოჯორიუს ფედ.); **70 კგ-მდე:** 1. გიგა ჭიკაძე (გოჯორიუს ფედ.), 2. გიორგი ნავროზაშვილი (შინ-კიოკუშინ კარატეს ფედ.), 3. შამილ ცინდელიანი (სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.); **70 კგ-ზევით:** 1. გია გვენეტაძე (იკო მაცუშიმას კიოკუშინ კარატეს ფედ.), 2. არტურ ნიკოგოსოვი (გოჯორიუს ფედ.), 3. თორნიკე ხვიბლიანი (სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედ.).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციამ, მეორე იყო გოჯორიუს ფედერაცია, მესამე — იკო მაცუშიმას ფედერაცია.

**ბორჩა ქაქაბაძე,**
**საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი.**

P.S. 2006 წლის აგვისტოში ტარდება იაპონიის ჩემპიონატი ბავშვებს შორის, რომელზედაც მიპატიჟებულია საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია. ეს არის პირველი შემთხვევა კიოკუშინ კარატეს ისტორიაში, როდესაც იაპონიის ჩემპიონატში სხვა ქვეყნის ბავშვებს ეპატიჟებიან.

ფოტო რობერტ ბაგრიანისა.

# განცხადება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 24 ნოემბრის №639 ბრძანების, 7 დეკემბრის №01-17-09/14646 ცირკულარული წერილის საფუძველზე, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის და დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობებზე დარჩენილი 51 ვაკანტური ადგილის შესავსებად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსვლის მსურველებმა მიმართონ სპორტის აკადემიის რექტორატს 2006 წლის 20 იანვარმდე.**

რექტორატი.

# „დინამო": ქართული სპორტის წარსული, აწმყო და მომავალი

პირველი გვერდიდან

„დინამოს" ახლანდელმა პრეზიდენტმა, ცნობილმა ქველმოქმედმა **გოჩა ძასოხოვმა** სასტუმრო „მეტეხ-პალასში" სხვადასხვა თაობის დინამოელებთან წინასაახალწლო წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე. კლუბი სპორტსაზოგადოება „დინამოს" ყოფილ შენობაშია განთავსებული ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე და ამ შეხვედრის ჩასატარებლად დარბაზის დაქირავება ზემოხსენებულ სასტუმროში მოუხდა, რადგან იქვე, სტადიონზე, „ოსტატთა კლუბის" იმ საამქრო დარბაზმაც დაკარგა ფუნქცია.

ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციის გარდა, გოჩა ძასოხოვს განზრახული აქვს ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის პროექტების განხორციელება და ძველის აღდგენა-რეაბილიტაცია.

საახალწლო შეხვედრამ „შერატონ მეტეხ-პალასში" ჩაიარა დევიზით: „დინამო": ქართული სპორტის წარსული, აწმყო და მომავალი". შესავალი სიტყვით ეს თავყრილობა გახსნა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა **ირაკლი მეძმარიაშვილმა.** გოჩა ძასოხოვის საანგარიშო მოხსენების შემდეგ „დინამოს" ტრადიციებზე, საამაყო წარმატებებზე და იმედიან მომავალზე ილაპარაკეს ვეტერანმა ფეხბურთელებმა **მურთაზ ხურცილავამ,** მოჭიდავეთა მწვრთნელმა **გმირო ხაჩიძემ,** მოჭიდავე **ლუკა კურტანიძემ,** „დინამოს" ყოფილმა თავმჯდომარემ მილიციის გენერალ-ლეიტენანტმა **შოთა გორგოძემ.**

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ბოლო წლებში დაღუპულ ძალოვანი სტრუქტურების ოჯახების წევრები, რომლებსაც გადაეცათ ფულადი დახმარება. „დინამოს" საპატიო მედლით დაჯილდოვდნენ ვეტერანი ტანმოვარჯიშე **მზია ნინოშვილი,** მძლეოსანი **ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი,** ფალავანთა თაობების აღმზრდელი **ქრისტეფორე ნინიაშვილი,** კალათბურთელი — **გურამ მინაშვილი,** ფეხბურთელები **ვლადიმერ ბარქაია, ვლადიმერ ელოშვილი, სერგო კოტრიკაძე.** დიპლომებით დაჯილდოვდნენ ძველი დინამოელები ფეხბურთელი **გივი ხოჭოლავა,** მოჭიდავე მიხეილ სალაძე, მწვრთნელები **თამაზ გოგოლაძე, გურამ დათიაშვილი, თენგიზ ივანიშვილი** და **ნიკოლოზ ნინიაშვილი,** ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი.**

დასასრულ გ. ძასოხოვმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ეროვნული სტადიონის ქართული სპორტის სამსახურში დაბრუნების აუცილებლობაზე და თანადგომა სთხოვა ვეტერან დინამოელებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტის ხვალინდელი დღე. ამასთან, მტკიცე ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვა ყველას დამდეგ ახალ წელს.

„ლელო" – „ბუმათი"

# «ბაკურიანი» ერთი წლისაა




ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ გაზეთი „ბაკურიანი", რომლის პირველი ნომერი 2005 წლის იანვარში გამოვიდა, დღეგრძელი გამოდგებოდა, იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც საბაზრო პირობებში წინ ელობება ნებისმიერ გამოცემას. მაგრამ „ბაკურიანმა" გაუძლო დროის გამოცდას და ამაში ლომის წილი დაიდო ბაკურიანის გამგებელმა **ვალიკო აბრამაშვილმა.** თანაც გაზეთი პირველიდან ამ წლის ბოლო ნომრამდე შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე იბეჭდება ფერადი ილუსტრაციებით. ახალი საახალწლო ნომერი განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვანია. ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისათვის ბორჯომ-ბაკურიანის აპლიკანტობას, გეგმებს და პერსპექტივებს კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად. რაღა თქმა უნდა, შუქდება ბაკურიანის ცხოვრების სხვადასხვა საკიხი. გაზეთის ამ ნომერთან ერთად მკითხველი მიიღებს ჩანართს — 2006 წლის ლამაზ კალენდარს.

# სიყვარულით დაწერილი წიგნი

ძველი თაობის სპორტის ქომაგებისთვის, საქართველოს სპორტული სამყაროსთვის თავისთავად, კარგადაა ცნობილი თუ ვინ არის ვალერიან (სულიკო) როგავა. ჩვენში თანამედროვე ხუთჭიდის ერთ-ერთი პიონერი, ჯერ გამოჩენილი სპორტსმენი, შემდეგ მწვრთნელი და ბოლოს შესანიშნავი ორგანიზატორი ათეული წლები თავდადებით ემსახურა ქართულ სპორტს. მთელი მისი სპორტული ცხოვრება დაკავშირებული იყო „დინამოსთან", მის თვალწინ და მისი უშუალო მონაწილეობით აღიზარდნენ დინამოელ სპორტსმენთა თაობები. არც ერთ სპორტულ საზოგადოებას საქართველოში ისე წარმატებით არ ულვაწია და იმდენი წარმატებები და დიდება არ მოუტანია სამშობლოსთვის, როგორც „დინამოს".




აი, ამ ლეგენდარული სპორტული საზოგადოების 80 წლისთავს მიუძღვნა მართლაც რომ სიყვარულით დაწერილი წიგნი ვალერიან (სულიკო) როგავამ. თავის დროზე იგი აქტიურად თანამშრომლობდა „ლელოში" და მკითხველს ხიბლავდა საქმის ცოდნით დაწერილი ღრმაშინაარსიანი პუბლიკაციებით. წიგნში, რომელიც სულ ახლახან გამოიცა „დინამოს" 80 წლისთავთან დაკავშირებით, ფართოდაა მოთხრობილი ამ სპორტული საზოგადოების ისტორია, მისი ღვაწლი სპორტის განვითარებაში საქართველოში. ავტორი სიყვარულით იხსენებს იმ ადამიანთა ამაგს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში და ამის დასტურად არაერთი ისტორიული ფაქტი და მოვლენაა გაცოცხლებული ამ გამოცემაში.

წიგნის ავტორის დამსახურება უსაზღვროდ დიდია. ფაქტობრივად შთამომავლობას მან დაუტოვა ქართული სპორტის ბოლო ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ის სოლიდური ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია „დინამოსა" და დინამოელებთან. მომავალში ამას ნამდვილად ვერავინ შეძლებდა ან ასე სრულყოფილად ვერ წარმოაჩენდა.

**მზია ჯუღელი,**
**ოლიმპიური ჩემპიონი, ვეტერანი დინამოელი.**

**აბაშის რაიონის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 67 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ველოსპორტსმენი, სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მეცნიერ-მუშაკი**

**სოსო ბზიავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**
**დაკრძალვა აბაშაში, 3 იანვარს, 15 სთ-ზე. მისამართი: თავისუფლების ქ. №80.**

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ჟურნალი

№37 (51) დეკემბერი, 2005 წელი

# საქართველო კავკასიაში საერთაშორისო ტურნირების ცენტრად იქცევა

# ბათუმი 2005








## გუნდური პირველი ადგილი საქართველოს







კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება საქართველოს!

კიდე ერთი პირველი ადგილი გუნდურ კუმიტეში!

კიდევ ერთი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი ჩაატარა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ. ბათუმის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორები ამჯერადაც საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, აჭარის კარატე-დოს ფედერაცია და კლუბი „ალიგატორი“ იყვნენ. თურქეთის მხრიდნ კი მათი ეროვნული ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური იყო. ტურნირის მონაწილეთა რაოდენობა 200-მდე იყო, რამაც, ფაქტობრივად, მის პოპულარობას გაუსვა ხაზი.

როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამ განაცხდა, – „ეს საერთაშორისო ტურნირი ბათუმი 2005“ ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოსთვის და ასევე თურქეთისთვის, რათა კარატეს უფრო პოპულარიზაცია და განვითარება მოხდეს. მინდა აღვნიშნო, რომ თურქეთის კარატეს ეროვნული ნაკრები ერთერთი ძლიერია მსოფლიოში. ამიტომაც, მათი გუნდის წინაალმდეგ ასპარეზობა ჩვენთვის ბევრის მომცემია, ჩვენი სპორტსმენებისთვის დონის ასამაღლებლად ურიგო ნამდვილად არ არის. თუმცა, აქვე დავძენ, მსოფლიოს და ევროპის სხვადასხვა ჩემპიონატებზე, თურქეთის ნაკრებისთვის თითქმის მუდმივი მოწინაალმდეგე ფინალურ ორთაბრძოლებში საქართველოა და ყოველთვის ჩვენს სასარგებლოდ მთავრდება. ჩვენ, ამ ტურნირის ორგანიზატორები, შევეცდებით, რომ მონაწილე ქვეყნების რაოდენობა შემდეგ ტურნირზე გავზარდოთ და ისედაც პოპულარული ტურნირი უფრო მაღალი დონის გავხადოთ. ტურნირის ასეთ მაღალ დონეზე ჩატარებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს, აჭარის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტს, ნოდარ ხაჯიშვილს და კლუბ ალიგატორის პრეზიდენტს, მერაბ მელუას. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო სენაკის რაიონის გამგებელს, ბატონ გურამ მისაბიშვილს, რომელმაც თავისი რაიონის კარატეს გუნდი ფინანსურად უზრუნველყო და მათ ამ ტურნირში იასპარეზეს“.

ამჯერად, ვაჟთა შორის ქართულ-თურქული გუნდური შეხვედრა აშკარა, – 4 – 1, ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა. საქართველოს კარატეს ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა, რომ საუკეთესოა.

გოგონათა შორის გუნდურ კუმიტეში კი ქართველებმა პირველი ადგილი მცირე სხვაობით დათმეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. ხოლო ინდივიდუალურ კუმიტეში, როგორც ყოველთვის, ქართველი სპორტსმენებს ბადალი არც ამჯერად არ ჰყავდათ, რაც შედეგებზეც ნათლად აისახა.

აჭარის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ნოდარ ხაჯიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა ტურნირის საერთონ დონის

# 世界松濤館空手道連盟

# ბათუმი 2005

მიმართ: "წლევანდელი ტურნირით კმაყოფილი ვარ. ხოლო მომავალ, იმედი მაქვს, რომ უკეთესს ჩავატარებთ. მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს და, სტუმრებს ჩამობრძანებისთვის".

შეჯიბრის დასასრულს თურქეთის კარატეს ეროვნული ფედერაციის მთავარმა მწვრთნელმა ეჯვეთ ქურთმა განაცხადა: „პირველ რიგში სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო საერთაშორისო ტურნირების ცენტრად იქცევა, ამის ბრწყინვალე მაგალითი დღევანდელი ტუტრნირია. მე ბათუმის საერთაშორისო ტურნირით კმაყოფილი ვარ. ასევე კმაყოფილებას გამოვთქვამ მაღალი სპორტული და საორგანიზაციო დონისთვის. ასეთი საერთაშორისო ტურნირები რაც შეიძლება ხშირად უნდა იმართებოდეს საქართველოსა და თურქეთს შორის, რადგან ჩვენ, მეზობელი ქვეყნები ვართ და ჩვენი ახალგაზრდების დამეგობრებას და მათი სპორტული დონის ამაღლებას და, რაც მთავარია, საერთაშორისო ტურნირების განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ ტურნირის შემდეგ, საპასუხო ვიზიტად, ქართველ სპორტსმენებს ტრაბზონში მივიწვევთ სააასპარეზოდ. მე ვიცი მათი წარმატებების შესახებ, თუ რამდენჯერ იასპარეზეს მსოფლიოს, ევროპისა და ინგლისის საკმაოდ დიდ და პრესტიჟულ ჩემპიონატებზე და გაოცებული ვარ ქართველი კარატისტებით, რომ ისინი ასეთი დაძაბული სპორტული გრაფიკის შემდეგაც ისევ საოცრად კარგ ფორმაში არიან, რაც მათ შედეგზე ნათლად აისახა. მე და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა კახა



ბასილიამ ჩვენი სამომავლო ურთიერთობების შესახებ უკვე ვისაუბრეთ და აუცილებლად, უფრო ხშირად ჩავატარებთ ასეთი სახის ტურნირებს. და ბოლოს, მინდა შემთხვევით ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ კახა ბასილიას, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს, აჭარის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ნოდარ ხაჯიშვილს და კლუბ „ალიგატორის" ხელმძღვანელს, ბატონ მერაბ მელუას და მთლიანად საქართველოს გულთბილი მასპინძლობისა და გულშემატკივრობისათვის".

ბათუმურ ტურნირს თურქეთის კონსულიც ეწვია და საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა, რის შემდეგაც პატივცემულმა კონსულმა ასეთი ტურნირების ჩატარებისკენ მოუწოდა ორგანიზატორებს.

ბოლოს, ტურნირის მაღალორგანიზებულობისთვის, თურქეთის კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, კახა ბასილია, აჭარის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი, ნოდარ ხაჯიშვილი და კლუბ „ალიგატორის" პრეზიდენტი, მერაბ მელუა საპატიო პრიზებით დააჯილდოვეს.

წლის ბოლოს კი საქართველოს საუკეთესო კარატისტების ახალი ათეული ეყოლება, რომლებსაც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია დააჯილდოვებენ სახელობითი ვერცხლის მედლებით.



## შედეგები:

8 წელი
I მამუკა ყვარელაშვილი (თბილისი)
II გოგა ჩოკორაია (ჩხოროწყუ)
III ლაშა ცირდავა (ჩხოროწყუ)

10 წელი
I დათო დარჩია (გურია)
II ნიკა ნიჟარაძე (ბათუმი)
III დათო სურმანიძე (გურია)
III ლევან ყურაშვილი (ზუგდიდი)

11 წელი
I გიორგი ჯიქია (ზუგდიდი)
II გივი დევაძე (ბათუმი)
III ირაკლი კირკიტაძე (ბათუმი)
III ალექსანდრე აფციაური (ბათუმი)

12 წელი
I ამირან ლაგვილავა (ზუგდიდი)
II ბექა როგავა (ზუგდიდი)
III გიორგი დოლიძე (ბათუმი)
III რატი გოდოლაძე (ბათუმი)
III მურატ კარა (თურქეთი)

13 წელი
I დავით პატარიძე (თბილისი)
II მუჯაჰიტ კაია (თურქეთი)
III კოტე ბობოხიძე (ბათუმი)
III ედემ ბერიშვილი (ჩხოროწყუ)

14 წელი
I დევი ხაჯიშვილი (ბათუმი)
II ომარ კარა (თურქეთი)
III ირაკლი კიკალიშვილი (ზუგდიდი)
III ჰენრი ვეკუა (ფოთი)

15 წელი
I ადემ კარაკაში (თურქეთი)
II ჰენრი ვეკუა (ფოთი)
III გოგიტა შენგელია (ზუგდიდი)
III აჩიკო თოფურია (ზუგდიდი)

16 წელი
I გიორგი ლიპარტელიანი (თბილისი)]
II გიორგი კარანაია (თბილისი)
III ომარ კასიმოღლუ (თურქეთი)
III ჭაბუკა კიკალიშვილი (ზუგდიდი)

– 60 კგ.
I რომან გოგია (ზუგდიდი)
II ალი ოღუზი (თურქეთი)
III დავით ტყებუჩავა (თბილისი)
III როლანდ გოგია (ზუგდიდი)

– 65 კგ.
I დავით ტყებუჩავა (თბილისი)
II კახა სადოევი (თბილისი)
III დათო ჭელიძე (ქუთაისი)
III ირაკლი ტყებუჩავა (თბილისი)

– 70 კგ.
I რომან ფუტკარაძე (ბათუმი)
II ცეზარ ჯაჯღავა (ზუგდიდი)
III ლევან ლომიძე (თბილისი)
III ირაკლი ტყებუჩავა (თბილისი)

+ 70 კგ.
I გოგიტა არქანია (ზუგდიდი)
II რუდიკ საგრუნოვი (თბილისი)
III კახა ეგნატაშვილი (თბილისი)
III ოზატაზ რურო (თურქეთი)

გოგონები:
9 წელი
I აიშე ბექტაში (თურქეთი)
II მაკა ეუაშვილი (თბილისი)
III გვანცა პაპუკაშვილი (თბილისი)

10 წელი
I სალომე მითიაშვილი (თბილისი)
II თეონა სულამანიძე (ფოთი)

13 წელი
I ბირგულ ზერენი (თურქეთი)
II ემინე კაპლალ (თურქეთი)
III თამრიკო კახიძე (ბათუმი)
III აიზეგულ იაზაჩი (თურქეთი)

16 წელი
I ესრა თუნა (თურქეთი)
II ნათია თურქია (გურია)
III თამარ ბებია (გურია)
III ნათია სულამანიძე (ფოთი)

+ 18 წელი
I ასლემ აივაზ (თურქეთი)
II ნანა დარასელია (ზუგდიდი)
III ნათია ცინცქილაძე (ზუგდიდი)
III ლალი ბაგათელია (ზუგდიდი)

აბსოლუტური:
I გოგიტა არქანია ('ალიგატორი")
II ალექსანდრე ჟამურაშვილი (თბილისი)
III კახა ეგნატაშვილი ('ალიგატორი")
III ოთარ სულავა (ზუგდიდი)

ნუგზარ ქიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

空手道

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# მეგობრის გახსენება



როგორ მიაღწია ნოდარ ახალკაცმა ამ მწვერვალებს საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში, რომლითაც იგი ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად იქნა აღიარებული? რით ავხსნათ ნოდარ ახალკაცის ფენომენი?

მე, ნოდართან ურთიერთობა მქონდა 1964 წლიდან გარდაცვალებამდე. ჯერ ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს თბილისის "ლოკომოტივის" გუნდში, შემდეგ გახდა რა იგი „ლოკომოტივის" მწვრთნელი, მისი ხელმძღვანელობით გამოვდიოდი "ლოკომოტივის" გუნდის შემადგენლობაში. მერე ნოდარი იყო საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, საიდანაც გადავიდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ჯერ მწვრთნელად, შემდეგ მთავარ მწვრთნელად. ამ პერიოდში, მიუხედავად ძალიან მოუცლელობისა, მაინც გამონახავდა ხოლმე დროს ჩემთან ურთიერთობისა და აზრთა გაზიარებისათვის, ახლობლების მოკითხვისათვის.

შემდეგში ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა საქმიან ურთიერთობებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მისი ყოფნის დროს 1990-1998 წ.წ. სადაც მე გახლდით საზოგადოებრივ საწყისებზე საექსპერტო კომიტეტის ჯერ წევრი, შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე.

საყურადღებოა, რომ საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარე ირჩეოდა ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევისას და ჩემი წარდგინება ამ თანამდებობაზე მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ნოდარის სურვილითა და ნებით.

როდესაც „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდში მიმიწვიეს (1964 წ.), ნოდარი ითვლებოდა გუნდის ვეტერან ფეხბურთელად, სარგებლობდა უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით. გუნდის ყველა წევრთან ჰქონდა თბილი, მეგობრული დამოკიდებულება. სადავო საკითხებზე მოთმინებით შეეძლო მოესმინა სხვისი აზრი და გამოეთქვა თავისი, ხშირად ყველასგან განსხვავებული. იგი ყოველთვის ეძებდა და გამოთქვამდა ალტერნატიულ მოსაზრებას, პასუხებს. თუ წარმოიშობოდა, შეეძლო განემუხტა ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაცია. იყო იუმორით აღსავსე. ადამიანში ეძებდა მხოლოდ დადებით მხარეს. იგი მაგალითის მიმცემი იყო თავისი ქცევით, ერუდიციით, თავმდაბლობით. იყო სამართლიანი და მართალი კაცი. როგორც კაპიტანი, არავითარი პრივილეგიით არ სარგებლობდა. თავისუფალ დროს ძალიან ბევრს კითხულობდა, აინტერესებდა ყველაფერი - პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფეხბურთის შესახებ ინფორმაცია. ინტერესდებოდა პოლიტიკით, ეკონომიკით, ფილოსოფიით, მედიცინითა და ფსიქოლოგიით, კულტურითა და ხელოვნებით. თუ რამეში არაკომპეტენტურად მიაჩნდა თავი, არ ერიდებოდა შეკითხვას, ცდილობდა ამომწურავი პასუხი მიეღო დასმულ შეკითხვაზე. ჭეშმარიტების დასადგენად იყო საინტერესო მოკამათე, სადაც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. იყო უაღრესად ობიექტური, უშიშარი, მტკიცე ხასიათის, ვაჟკაცური ბუნების, თუმცა, არ მახსოვს მისგან ვინმესთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების არც ერთი შემთხვევა. თამაშის წაგების შემდეგ შეეძლო ღრმა ანალიზი და მისი მიზეზის დადგენა. ჰქონდა ფენომენალური მახსოვრობა. მოკლედ რომ ვთქვათ, მას მოსწონდა ყველა სფეროში მხოლოდ პროფესიონალები და პროფესიონალიზმი, ვერ იტანდა დილეტანტიზმს, მე იგი მაშინ და ახლაც, უნაკლო ადამიანად მეჩვენებოდა. ასეთად სამუდამოდ დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში. ფეხბურთელობის დროს ერთადერთი, იმ „პრივილეგიით" სარგებლობდა, რომ საღამოს 11 საათზე, თუ ყველა ფეხბურთელის ოთახში შუქი ჩამქრალი უნდა ყოფილიყო, მის ოთახზე ეს არ ვრცელდებოდა . ზოგჯერ, გვიან, ღამით, 3-4 საათზე თუ გამეღვიძებოდა, ვხედავდი, რომ მის ოთახში შუქი ენთო. ამ დროს ნოდარი გატაცებული იყო მორიგი საინტერესო წიგნის კითხვით, მაშინ, როდესაც ყველას, მწვრთნელებსაც კი ეძინათ. დილით, დილმის ბაზაზე სპეციალური ვარჯიშის დაწყებამდე ე.წ. „კვადრატს" ვთამაშობდით (4-2) გამოვარდნაზე. ეს „კვადრატი" ნოდარ ახალკაცის, მერაბ იაშვილის, ედუარდ კუჭავას, ამირან წოწელიას, მურმან ძაგანიას, ოთარ რუხაძის, ლეო ჟორდანიას, სერგო აპრესიანის და სხვების მონაწილეობით იყო ვირტუოზული ტექნიკის დემონსტრირება და ოლეგ პოპოვის ცირკში მიღებულ სიამოვნებას თუ შევუდარებდი. ვარჯიშის შემდეგ აქტიურად ვისვენებდით. მას სიამოვნებდა და იუმორის თანხლებით თამაშობდა ნარდს, ბანქოს. საინტერესო იყო ნარდში ნოდარისა და ზურაბ ქვარიანის, ნოდარისა და დიღმის ბაზის კომენდანტის- რუბენ ძიას პაექრობა. უყვარდა კინოფილმების ყურება, მამაკაცი კინომსახიობებიდან მოსწონდა ჭაღარა ჟან გაბენის მიერ შესრულებული ბრძენი გმირები. აღტაცებული იყო არკადი რაიკინის იუმორით და კლასიკოსად მიაჩნდა იგი.ნოდარი კარგად თამაშობდა ჭადრაკს, კროსვორდების ამოხსნაში ხომ ბადალი არ ჰყავდა. უყვარდა მოსალოდნელი ფეხბურთის მატჩების შედეგების წინასწარ ამოცნობა. როდესაც ძლიერი ხვდებოდა შედარებით სუსტს, თუ ყველანი ძლიერს უჭერდნენ მხარს, იგი იტყოდა: „არც ასეა საქმე, ეს ფეხბურთია, ბურთი მრგვალია, „посмотрим ,поживем увидим" მაგალითად მოჰყავდა საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და თბილისის "ლოკომოტივის", როგორც „სპარინგ პარტნიორის" მატჩი რუსთავში, რომელიც 1-1 დამთავრდა და რომელშიც თავად მონაწილეობდა

მისი პროგნოზი ხშირად მართლდებოდა, ამ შემთხვევაში იგი ირონიული ღიმილით იტყოდა: „აბა, რა ვქნა, ტვინს ხომ არ დავიმახინჯებ?!"

მინდა გავიხსენო მოგზაურობისას მისი შეუდარებელი ქცევები. იგი იყო კულტურის , ინტელიგენტურობის ნამდვილი განსახიერება. იცვამდა სადად, უყვარდა მოსასხამი (კურტკა), კოსტიუმი მგონი არასოდეს ჩაუცვია. თუ ჩაცმულობით ვერ მიიქცევდა სხვის ყურადღებას, როგორც კი საუბარს დაიწყებდა, ამჟღავნებდა უდიდეს ერუდიციას. თითქოს წინასწარ იცოდა რა თემაზე უნდა ესაუბრა. მე ხშირად მიწევდა მასთან ერთად სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში სეირნობა (ძირითადად იგი ოთარ რუხაძესთან და გივი მუმლაძესთან ერთად სეირნობდა, ისინი ტოლები იყვნენ მე კი უმცროსი).

გავიხსენებ ზოგიერთ ეპიზოდს.

ზუსტად არ მახსოვს, საბჭოთა კავშირის რომელ ქალაქში იყო ეს, მგონი ლუგანსკში (ვოროშილოვგრადი, უკრაინა). გუნდმა ისადილა ერთ-ერთ რესტორანში და როგორც ყოველთვის, ერთსაათიანი სეირნობა მოვაწყვეთ. მე და ნოდარი ერთად გავეშურეთ, ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე. ძირითადად ნოდარი ლაპარაკობს, მე ყურადღებით ვუსმენ, თან ვათვალიერებთ ყოველ შენობას, მის ფასადს, ვიტრინას, გამვლელს, გამომვლელს, ვინტერესდებით ხალხის იერით, ჩაცმულობით, სიმაღლით, სქესთა რაოდენობით. აშკარად შეიმჩნეოდა ქალების მამაკაცებთან შედარებით სიჭარბე (საბჭოთა კავშირის ევროპულ ქალაქებში მაშინ ასეთი სურათი იყო, მეორე მსოფლიო ომის გავლენა, დემოგრაფიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ნათლად შეიმჩნეოდა). მაღაზიებში არ შევდიოდით, ვათვალიერებდით ვიტრინას, ვადარებდით თბილისის ანალოგიურ მაღაზიებთან, საქონლის ხარისხთან, ფასებთან. შევჩერდით წიგნების მაღაზიასთან. ნოდარმა მითხრა, მოდი აქ შევიდეთო, სიამოვნებით დავეთანხმე. სასწავლო სახელმძღვანელოებთან რიგი იდგა, ჩვენ გავეშურეთ მხატვრული ლიტერატურისა და სპეციალური წიგნების სექციისაკენ, სადაც რიგი არ იყო. ნოდარი შეჩერდა შერეულ სექციასთან და გულმოდგინედ დაათვალიერა. ცოტა ხნის შემდეგ გამყიდველს მოწიწებით სთხოვა „Пожалуйста, подайте Мишель Монтенья, я вижу во втором ряду справа"

გამყიდველი ოდნავ გაკვირვებული, უხალისოდ მივიდა მითითებულ ადგილთან, გადმოიღო წიგნი, დახლზე დადო და განზე გადგა. მე ვიფიქრე შეგვამჩნია, რომ სლავიანები არ ვიყავით და არც მყიდველები ვეგონეთ, ამიტომ არ სიამოვნებს ჩვენი მომსახურება-მეთქი. ნოდარმა წიგნი ხელში აიღო, გადაფურცლა, წინასიტყვაობა წაიკითხა, შემდეგ სარჩევი და სულ რამდენიმე წუთის შემდეგ მოიხმო გამყიდველი და უთხრა „Дайте полный комплект автора." - „вы хотите купить?" –შეეკითხა გამყიდველი, - „Это зависит от вашего поведения," ჩვეული მოსწრებულობითა და ღიმილით მიუგო ნოდარმა, „Их никто не покупает" – უკვე სიამოვნებით ჩაება საუბარში ქალი და ჩვენდამი ყურადღება გაამახვილა, გადმოიღო ორი ერთნაირი ფერის საკმაო სისქის წიგნი, მტვერი გააცალა, შეამოწმა წიგნების ვარგისიანობა, ლამაზად შეფუთა, შემდეგ ჩეკი გამოწერა, ნოდარისაგან ფული მიიღო, მადლობა გადაგვიხადა და გვთხოვა კიდევ შეგვევლო, საინტერესო წიგნებს ველოდებითო. მართალი გითხრათ, მაშინ მე, აღორძინების ხანის ამ გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსის შესახებ არც მქონდა გაგებული.

გამოვედით მაღაზიიდან და ნოდარი მეუბნება, ანტონ, შენ ვერც კი წარმოიდგენ, ასეთ ქალაქებში და კიდევ უფრო პატარა ქალაქებში შეიძლება ისეთ რამეს წააწყდე, რაც ჩვენთან, საერთოდ ვერ მოიპოვო, ან დეფიციტია. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველაფერი ცენტრიდან ნაწილდება მეტ-ნაკლები ოდენობით, ხოლო იყიდება მოთხოვნილების მიხედვით. ასეთი ზოგადსაკაცობრიო წიგნები მხოლოდ რესპუბლიკის დედაქალაქებში საღდება, სადაც სამეცნიერო ცენტრებია და როგორც წესი, არასოდეს არ არის საკმარისი, ყოველთვის დეფიციტია. შედარებით პატარა ქალაქებში კი ეს წიგნები წლობით დევს მაღაზიაში, სანამ ჩვენნაირი, ან მეცნიერი არ შეივლის. ამიტომ ჩვენ, სპორტსმენებს უნიკალური შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი საერთო ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის, თუ ამას მოისურვებ.

ამ პერიოდში საქართველოში მსოფლიოში ცნობილი ავტორების ნაწარმოებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით ნაწილდებოდა და მხოლოდ მაღალი ჩინოსნების პირად ბიბლიოთეკაში იყრიდა თავს, მუდამ დეფიციტური იყო საშუალო ფენის წარმომადგენლებისათვის, შავ ბაზარზე კი მამასისხლად იყიდებოდა.

ოცი წლის შემდეგ, როცა ოჯახით კურორტ ჯავაში ვისვენებდი, შემთხვევით შევიარე წიგნების მაღაზიაში და აღმოვაჩინე მაშინ თბილისში დეფიციტური, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, ინგლისურ ენაზე ლექსიკონი და უცებ გამახსენდა ნოდარის სიტყვები.

რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში, ზუსტად არ მახსოვს სად, მე და ნოდარი კვლავ სადილის შემდეგ ვსეირნობდით, ისე, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ირგვლივ წარმოადგენს ჩვენს ინტერესს. ვადარებთ ქართულთან, ვცდილობთ ობიექტურად შევაფასოთ რომელი სჯობია, აქაური, თუ ანალოგიური ქართული. ჩავიარეთ რამდენიმე მაღაზია, კიოსკი, რესტორანი. ნოდარი შეჩერდა მუსიკალური ფირფიტების მაღაზიასთან და მეუბნება: „მოდი აქ შევიდეთ". არ უყვარდა მაღაზიაში ტყუილად შესვლა. გავიფიქრე, ალბათ თბილისიდან დააბარეს რაიმე ფირფიტა, დავეთანხმე და შევედით. მხოლოდ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები საესტრადო მელოდიების ფირფიტებს ყიდულობდნენ. კლასიკური მუსიკის სექცია თავისუფალი იყო და შეიძლებოდა მშვიდად, აუჩქარებლად ამორჩევა, თუმცა, ასარჩევი არც თუ ისე მრავალფეროვანი გახლდათ. მე განზე ვიდექი და ველოდი, თან ვუსმენდი ალა პუგაჩოვას შესრულებით ახალ სიმღერას, რომელიც მაღაზიაში ხმამაღლა ისმოდა. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, როცა ნოდარმა ამოარჩია სასურველი ფირფიტა, ფული გადაიხადა და ერთად გამოვედით. იგი ძალიან კმაყოფილი, ნასიამოვნები დარჩა. გამოვართვი ფირფიტა და წავიკითხე: „Скрипачный концерт Иоганса Брамса с исполнением Иегуди Минухина" ნოდარი მეუბნება: „ანტონ, ამ ფირფიტას თბილისში ვერსად ვერ იყიდი, მაღაზიაში რომ გამოჩნდეს, ხალხი დაიტაცებსო". გამოგიტყდებით, მაშინ ნაკლებად ვერკვეოდი კლასიკურ მუსიკაში. მიხვდა რა ამას, მან ჩვეული მეგობრული განწყობითა და დიდსულოვანი ტაქტით მომითხრო ძალიან მოკლედ ამ შესანიშნავი, მსოფლიოში ცნობილი გერმანელი (ავსტრიელი) კომპოზიტორისა და ამერიკელი მევიოლინეს ბიოგრაფიები.

ეს ორი ეპიზოდი, ალბათ, საკმარისია იმისათვის, რომ მაშინ, 26 წლის ნოდარ ახალკაცის განათლების დონე განსაზღვრო.უმაღლესი ტექნიკური განათლების ფეხბურთელი, ფილოსოფიასა და ხელოვნებაში ასე ერკვეოდეს, ეს, ალბათ რჩეულთა ხვედრია.

თუ როგორი თავდადებული იყო იგი მეგობრებისათვის, მინდა ვთხოვო ჩვენს მეგობარს, ოთარ რუხაძეს (წიეს!) მოგვითხროს ინციდენტის შესახებ მატარებელში, თბილისი–როსტოვის გზაზე, თუ როგორი პოზიცია დაიჭირა და როგორ გადაარჩინა ნოდარ ახალკაცის გეგმამ იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუმცა, ოთარი სრულიად მართალი გახლდათ ხსენებულ ინციდენტში.

მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი დამადასტურებლად იმისა, თუ როგორი გუნდის ლიდერი იყო იგი.

მგონი 1966 წელი იყო. „ლოკომოტივის" გუნდი ჯერ ბაკურიანში, ხოლო შემდეგ ლესელიძეში ვემზადებოდით, მთავარი მწვრთნელი გახლდათ ლობჟანიძე, უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი.

სეზონი დაიწყო, თბილისში პირველი სამი მატჩი წავაგეთ და ბოლო ადგილზე აღმოვჩნდით. ატყდა განგაში, სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ სასწრაფოდ მთელი გუნდი მიგვიწვია თავის კაბინეტში. გაიმართა დახურული სხდომა.

პირველად სიტყვით გამოვიდა მთავარი მწვრთნელი ლობჟანიძე, რომელმაც წარუმატებლობისათვის მთელი პასუხისმგებლობა გუნდის წევრებს გადააბრალა, ეპითეტებს არ იშურებდა ფეხბურთელების სალანძღავად, რომ მან ყველაფერი გააკეთა გუნდის კარგად მომზადებისათვის. დოკუმენტები კარგად ჰქონდა შედგენილი, თუ რამდენი ვარჯიში ჩაატარა მოსამზადებელ პერიოდში, რა დატვირთვითა და ინტენსიურობით ავარჯიშებდა გუნდს, რამდენი სასწავლო, ტაქტიკური მეცადინეობა, საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ა.შ.

შემდეგ გამოვიდა ზურაბ ქვარიანი, რომელმაც წაგებების სერია შემთხვევითობას მიაწერა და არ გადააბრალა ფეხბურთელებს. ამის შემდეგ გამოვიდა ყველა ვეტერანი ფეხბურთელი და თავისებურად ახსნეს წარუმატებლობა და იმედი მისცეს ხელმძღვანელობას, რომ გამოასწორებდნენ მდგომარეობას.

ფეხბურთელებში ბოლო სიტყვა ნოდარ ახალკაცმა წარმოთქვა, მან დეტალებში წარმოადგინა მოსამზადებელ პერიოდში მთავარი მწვრთნელის ლობჟანიძის შეცდომები, სტრატეგიასა და ტაქტიკაში დაშვებული ხარვეზები და მთელი პასუხისმგებლობა ნაცვლად ფეხბურთელებისა, მას დააკისრა. მე გაოგნებული ვუსმენდი ნოდარის გამოსვლას და აღტაცებული ვიყავი თუ როგორი სიტყვებით გამოხატა მან ის, რაც ყველა ფეხბურთელს აწუხებდა, მაგრამ ვერ გამოხატავდა.

მახსენდება, ნოდარის, გამოსვლისას სპორკომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე სიტყვას აწყვეტინებდა და ფაქტების დამადასტურებლად კითხვებს უსვამდა, რაზეც ნოდარი ამომწურავად პასუხობდა.

თათბირი იმით დამთავრდა, რომ მთავარი მწვრთნელი ლობჟანიძე დაითხოვეს და მის ნაცვლად ზურაბ ქვარიანი დაინიშნა.

ასეთი იყო ნოდარ ახალკაცი, როგორც გუნდის ლიდერი. მახსენდება მისი ინტერესების ფართო სფეროს დამადასტურებელი შემდეგი ეპიზოდიც:

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მატჩის გასამართავად ჩასულებმა, შუადღისას შესანიშნავ რესტორან „გლორიაში" ვისადილეთ რამდენიმე ფეხბურთელმა ნოდართან ერთად. მსგავსი მომსახურება ჩვენ მანამდე არსად, არც ერთ ქალაქში არ გვენახა. სადილის დამთავრების შემდეგ, როდესაც უკვე გასვლას ვაპირებდით, ნოდარის თხოვნით მთავარ ოფიციანტს ანგარიში მოვატანინეთ, ფული გადავიხადეთ. ნოდარმა ჩეკი ხელში აიღო და გაცნობა დაიწყო. როდესაც ბოლომდე წაიკითხა, ქართულად გვითხრა, აბსოლუტური სიზუსტითაა ნაანგარიშევიო, ჩეკის მომტანს კი შეეკითხა: „Скажите пожалуиста, что значит плюс одна копейка ?"

ოფიციანტმა გამართული რუსულით, მაგრამ დამახასიათებელი ესტონური კილოთი მიუგო: „а мы разве вас плохо обслужили ?"

ყველანი სახტად დავრჩით, შესანიშნავი მომსახურებისათვის ოფიციანტმა დამატებით, ოფიციალურად მხოლოდ კაპიკი გვიანგარიშა. ამ დროს საქართველოს ნებისმიერ რესტორანში ოფიციანტები არა მარტო ჩეკებს არ წერდნენ, არამედ, ჩვეულებრივ კლიენტებს დანახარჯის ფაქტიური ღირებულების ორმაგ ოდენობას ახდევინებენ.

ასე, ყოველი წვრილმანი აინტერესებდა ნოდარს. მისი ერუდიციის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოყვანა შეუძლიათ სხვა მეგობრებსაც.

ვფიქრობ, ნოდარის ფენომენის ახსნა სწორედ იმაშია,რომ, რასაც ხელს მოჰკიდებდა, სანამ ყოველმხრივ არ შეისწავლიდა, არ დაამუშავებდა, მანამადე არ მოეშვებოდა. იგი არც ერთ წუთს არ კარგავდა უქმად და ცოდნის სრულყოფისათვის იყენებდა. ასეთი დაუღალავი შრომით მიაღწია მან იმ უდიდეს მწვერვალებს, რაც დასაწყისში აღვნიშნე.

ნოდარ ახალკაცის ფენომენის ახსნისათვის შესასწავლია მისი ცხოვრება დაბადებიდან, ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებში, სტუდენტობა.

მე შევეცადე რამდენიმე ეპიზოდი მომეთხრო, ახლა კი მინდა მოგითხროთ იმის შესახებ, თუ როგორი ფეხბურთელი იყო ნოდარ ახალკაცი, იმის შესახებ, რაც მე მინახავს თვალით, მინდორზე ერთად ყოფნისას.

* * *

მე, პირადად, იგი ინტელექტუალურ ფეხბურთელად მიმაჩნდა. ჰქონდა შესანიშნავი ფიზიკური და ტექნიკური მონაცემები. თეორიულად ფლობდა ფეხბურთის თამაშის აბსოლუტურად ყოველგვარ საიდუმლოებას. ვარჯიშებზე ახდენდა მათ დემონსტრირებას და ცდილობდა თამაშის დროს მათ გამოყენებას, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, აღწევდა კიდეც. შეეძლო ცრუ მოძრაობა, ჰქონდა კარგი დრიბლინგი — მაღალ სიჩქარეზე რამდენიმე მოწინააღმდეგის მოტყუების უნარი; შეეძლო გრძელი გადაცემების განხორციელება (მიუხედავად ახლომხედველობისა); შესანიშნავად ასრულებდა „კედელს"; ხშირად იყენებდა მოწინააღმდეგისათვის ბურთის ფეხებშუა გატარების ხერხს; თავისი ფიზიკური მონაცემების უპირატესობიდან გამომდინარე, კორპუსით კარგად ფარავდა ბურთს; თითქმის ერთნაირად იყენებდა ორივე ფეხს, ძლიერად ურტყამდა როგორც მარცხენათი (მემარცხენე იყო), ისე მარჯვენათი. მართალია, არ გახდარა ბომბარდირი, მაგრამ გაჰქონდა ბევრი ბურთი, ხშირად მატჩის ბედის გადამწყვეტიც. ჰოკეის პრინციპით — გოლი პლუს გადაცემა, იგი უდავოდ სნაიპერი გახდებოდა. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ მას ინდივიდუალურთან ერთად შეხამებული ჰქონდა კოლექტივიზმის პრინციპი. იყო გუნდის ერთ-ერთი „დირიჟორი", „დისპეტჩერი" ან უბრალოდ, ორგანიზატორი — ლიდერი. იგი იყო თავდამსხმელი და მინდორზე გამოდიოდა 10 ნომრით. „დუბლ-ვე" სისტემაში მარცხენა ინსაიდს თამაშობდა, ბრაზილიურში (4-2-4) კი — ერთ-ერთ ფორვარდს ოთხიდან. მინდორზე მოქმედების არეალი მოიცავდა საკუთარი საჯარიმო მოედნიდან მოწინააღმდეგის კარამდე მთელ სივრცეს.

ტაქტიკურად ძალიან მოქნილი იყო. თუ წინასწარ დაგეგმილი სქემით თამაში არ გამოსდიოდა, შეეძლო სხვა ტაქტიკაზე გადასვლა. კერძოდ, თუ

იხ. მე-4 გვ.

# კახა კალაძე ბავშვებს დაეხმარება

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** „SOS ბავშვთა სოფლის" ელჩი საქართველოში ოფიციალურად გახდა. „SOS Kinderdorf international"-ის საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელიც" არის გაწევრიანებული (დირექტორი ზვიად ბერძენიშვილი) და აქტიურადაც არის ჩაბმული საქველმოქმედო საქმეში. კახა კალაძეს 27 დეკემბერს გადაეცა ელჩის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელსაც ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ჰელმუტ კუცინგი** აწერენ ხელს. სერთიფიკატის გადაცემის ოფიციალური ცერემონია სამშაბათს ქართული ორგანიზაციის ნუცუბიძის პლატოზე მდებარე ოფისში გაიმართა. ცერემონიას სფფ-ს პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი,** ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე,** გენმდივანი **უჩა უგულავა** და ნაკრები გუნდების განყოფილების უფროსი **თამაზ ბოკერია** ესწრებოდნენ. **„SOS ბავშვთა სოფლის"** ელჩი, საკმაოდ ცნობილი 60-მდე ფეხბურთელია, მათ შორისაა კახა კალაძე. ელჩების მიზანია სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობით დახმარება გაუწიონ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. „ყველა ბავშვს და-ძმად მივიჩნევ და ყველაფერს ვილონებ იმისათვის, რომ მათ ცხოვრება გავულამაზო. ამ ორგანიზაციის ელჩობა ჩემთვის დიდი პატივია", — განაცხადა კახა კალაძემ. მან მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცა, ბურთები და „მილანის" საფეხბურთო კლუბის მაისურები საკუთარი ავტოგრაფით. კახა კალაძე და სფფ-ს მესვეურები გუშინწინ, ძეგვის ბავშვთა სახლს ესტუმრნენ და იქაური ბავშვები დაასაჩუქრეს.

„SOS ბავშვთა სოფლის" საერთაშორისო ორგანიზაცია 130-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს, საქართველოში ორი სოფელი თბილისსა და ქუთაისში, SOS ახალგაზრდული სამი სახლი, „მხიარული ავტობუსის" პროექტი და 170-ე საშუალო სკოლაში ჰერმან მაინერის სახელობის კომპიუტერული კლასი ფუნქციონირებს. ამჟამად ფიფა და SOS ბავშვთა სოფლები საქველმოქმედო აქციას — **„6 სოფელი" 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ახორციელებენ.** ამ კამპანიის



მიზანია, შემოწირულობათა შეგროვება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ექვსი ახალი ბავშვთა სოფლის ასაშენებლად. კახა კალაძის საქველმოქმედო ელჩობა კი ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო სამყაროს აღიარება და დიდი პატივია. — „ჩვენი ნაკრების კაპიტანმა განსაკუთრებული მისია იკისრა, როდესაც შევიტყვეთ მისი ჩანაფიქრის შესახებ, გადავწყვიტეთ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს დავხმარებოდით და საახალწლო საჩუქრების დარიგებით ჩვენი მცირედი წვლილი შეგვეტანა საშვილიშვილო საქმეში". — განაცხადა სფფ-ს პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა.** მსგავს აქციებში მონაწილეობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მომავალშიც გეგმავს.

საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის" დირექტორმა **ზვიად ბერძენიშვილმა** მასმედიას სამომავლო გეგმები და კახა კალაძის საქველმოქმედო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო. — „კალაძის ფუნქციებში შედის ჩვენი სოფლის რეკლამა, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დაპატიჟება საფეხბურთო მატჩებზე, რომლებიც თბილისში გაიმართება. დავიწყეთ მოლაპარაკება სფფ-სთან და კალაძესთან თბილისში საერთაშორისო ამხანაგური მატჩებისა და ტურნირების გამართვის თაობაზე".

კახა კალაძე საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს" პირველად ნოემბერში ეწვია. ორგანიზაციასა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკება ადვილად წარიმართა და საქველმოქმედო საქმეც წლის ბოლოს, ადგილიდან იოლად დაიძრა.

# აუდიტმა კლუბების ლიცენზირების პროცესი შეგვიმოწმა

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კლუბების ლიცენზირების პროცესის მიმდინარეობას, ისევ ვუბრუნდებით. 26-28 დეკემბერს თბილისში ორდღიანი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა შვეიცარიული აუდიტორული ფირმის SGS-ის წარმომადგენელი **ალექსანდრე ანდრეიჩენკო,** რომელმაც ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების სისტემის მუშაობა და საკლუბო დოკუმენტაცია შეამოწმა. გუშინ გამართული პრესკონფერენცია მისი ვიზიტის და შემოწმების შედეგებს მიეძღვნა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბების ლიცენზირების პროცესის წარმართვის უფლება, სერტიფიკატი შარშან მიიღო სამი წლის ვადით, მაგრამ უეფას მიერ პროცესის მიმდინარეობა ყოველწლიურად მოწმდება და სტუმრის ვიზიტიც ამას ემსახურებოდა. ალექსანდრე ანდრეიჩენკომ დეტალურად შეამოწმა ლიცენზირების სისტემის მუშაობა, საკლუბო დოკუმენტაციიდან რამდენიმე



კლუბის საბუთები. აგრეთვე, შეისწავლა აპელაციის პროცედურა, სხვა დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ აუდიტმა სფფ-ს ლიცენზირების სტანდარტის შემოწმების წინასწარ შედეგებს ძალიან დადებითი შეფასება მისცა. რა თქმა უნდა, გამოთქვა ერთი მინორული შენიშვნა და რეკომენდაციები, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, ხოლო მინორული შეცდომა უნდა გამოსწორდეს უახლოეს დროში და ამის თაობაზე ეცნობოს აუდიტორულ ფირმას, სათანადო დოკუმენტების წარდგინებით. თავის მხრივ, ალექსანდრე ანდრეიჩენკო აუდიტორული ფირმის SGS-ის სათაო ოფისში, ჟენევაში, წარადგენს შემოწმების შედეგების ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც, სფფ გაისად იანვარში მიიღებს აუდიტორული ფირმის საბოლოო დასკვნა-გადაწყვეტილებას საქართველოში კლუბების ლიცენზირების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა, ოფიციალური სტუმარი შეხვდა და ესაუბრა ფედერაციის პრეზიდენტს **ნოდარ ახალკაცს** და გენმდივანს **უჩა უგულავას,** სფფ-ს მესვეურებიდან უშუალოდ გაიგო და გაეცნო ფედერაციის მუშაობას ამ მიმართულებით.

25-28 იანვარს, ლიცენზირების პროცესის მონაწილეებისათვის და კლუბებში ლიცენზირებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ჩატარდება სემინარი, რომელზეც დამსწრენი განიხილავენ და შეისწავლიან უეფას საკლუბო ლიცენზირების სტანდარტს და სახელმძღვანელო მოთხოვნებს.

პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა კლუბების ლიცენზირების პროცესის მნიშვნელობას, იმას, რომ 2008-2009 წლების სეზონიდან ლიცენზიის მიღება სავალდებულო გახდება ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. კლუბები აქედანვე უნდა გაერკვნენ შექმნილ სიტუაციაში, მიიღონ გამოცდილება, რათა გადაუჭრელი პრობლემების წინაშე არ დადგნენ და ეროვნული პირველობის ჩატარებას (ევროტურნირებში მონაწილეობაზე ლაპარაკი ზედმეტია) საფრთხე არ დაემუქროს.

**ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.**

# მეგობრის გახსენება

მესამე გვერდიდან

მოწინააღმდეგე მის მიმართ პრესინგს გამოიყენებდა, შეეძლო თავი დაეღწია სხვა ფლანგზე გადანაცვლებითა და უკან ღრმად დაწევით. თამაშის ორგანიზაციისთვის გუნდი ნდობას უცხადებდა სტანდარტული დარტყმების შესასრულებლად.

გულშემატკივრები ზედმეტ სახელად „ჩომბეს" ეძახდნენ შავგვრემანობისა და ფიზიკური მონაცემების გამო. ამსგავსებდნენ რა აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ დროს მსოფლიოში ცნობილ ზანგ ლიდერს — ჩომბეს.

ალბათ, დამისვამთ კითხვას: თუ ასეთი ფეხბურთელი იყო, რატომ არ ითამაშა „დიდი ფეხბურთი" ნოდარ ახალკაცმა? მე ხაზს ვუსვამ — არ ითამაშა, და არა — ვერ ითამაშა; ამ ორ აზრს შორის დიდი განსხვავებაა. ეს უკვე სხვა თემაა და მისი ახსნა დამატებით შესწავლას მოითხოვს.

ამასთან, შეუსწავლელად, თუ რატომ არ ითამაშა ნოდარ ახალკაცმა დიდი ფეხბურთი, ჩემი ვერსია ასეთია:

როდესაც ნოდარი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში მოხვდა, მას ჰქონდა საშუალო სკოლისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი შესანიშნავი საბაზისო განათლება.

ცნობილია, რომ აქტიური ფეხბურთის თამაშის ზღვრული ასაკი, საშუალოდ, 28-30 წელია. თამაშის დამთავრების შემდეგ კი იწყება ახალი ხანა ფეხბურთელის ცხოვრებაში და, ბუნებრივია, ყოველი მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს მომავალზე. წინ ხომ მთელი ცხოვრებაა.

გამიგონია და გადმოცემით ვიცი, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მას შესთავაზეს ერთ-ერთ კათედრაზე (აკადემიკოს ზავრიევთან) ასპირანტად მიღება, მაგრამ არ ისურვა. მეცნიერების გზა მაშინ ხომ ძალიან პრესტიჟული იყო. ალბათ, იმიტომ არ ისურვა, რომ გული კარნახობდა სხვას, სხვა გზას, რომელიც მან შემდეგ გაიარა... მაგრამ, მოდით, თემას ნუ გადავუხვევთ და გავაგრძელოთ ჩვენი ვერსიის გადმოცემა, თუ რატომ არ ითამაშა დიდი ფეხბურთი ნოდარ ახალკაცმა.

ჩემი აზრით, ფეხბურთის კარიერის დამთავრების შემდეგ, ცხოვრების გაგრძელების ალტერნატიული ვარიანტების არსებობის გამო, მან ჭაბუკობის წლებში ბოლომდე არ იბრძოლა იმისთვის, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილიყო, რომელიც საშუალებას მისცემდა დიდი ფეხბურთი ეთამაშა.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში მოხვედრაზე მაშინ ყველა ქართველი ფეხბურთელი ოცნებობდა, ამიტომ კონკურენცია მეტად მაღალი იყო. ძირითადად ტალანტები ხვდებოდნენ, თუმცა, გამონაკლისი შემთხვევებიც ყოფილა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის პირად აზრს ცალკეული ფეხბურთელის მიმართ. იყო შემთხვევები, როცა მომავალ მატჩზე ძირითადი შემადგენლობის გამოყვანაზე ზეგავლენას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ესა თუ ის მაღალჩინოსანი ახდენდა.

არის კიდევ ერთი მიზეზი — ბედი. როგორც ამას ამ ცოტა ხნის წინათ ტრაგიკულად დაღუპული პოპულარული რუსი მსახიობი, ალტაის გუბერნატორი ევდოკიმოვი იტყოდა — „судьба".

ღმერთმა ასე ისურვა, რომ ნოდარი დიდი ფეხბურთელი კი არა, დიდი მწვრთნელი უნდა გამხდარიყო. ეს ის პერიოდი იყო, როცა ვარსკვლავი ფეხბურთელები საკმაოდ გვყავდა, ხოლო ვარსკვლავი მწვრთნელი — არა. ორივე ერთად კი ჯერ არ ყოფილა ბუნებაში. „В одном теле две судьбы не дано". ასეთია ბუნების კანონზომიერება.

**ანტონ ონიანი.**

## ავტორის შესახებ

**ანტონ ონიანი** — გუნდთან ერთად 1960 წელს გახდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფეხბურთელთა ტურნირის მესამე პრიზიორი, 1961 წელს თამაშობდა თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდში, 1962 წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი სტუდენტთა შორის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან ერთად, 1964-1965, 1968-1970 წლებში თამაშობდა „ლოკომოტივის" ოსტატთა გუნდში, 1966 -1967 წლებში იყო ბათუმის „დინამოს" წევრი, 1970-1971 წლებში გამოდიოდა რუსთავის „მეტალურგში".

1965 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1972 წელს — თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი, 1986 წელს — მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტი. მუშაობდა: 1971-73 წლებში — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის ეკონომისტად; 1974-94 წლებში — საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე; 1994-1997 წლებში — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სავალუტო-ფინანსური სამმართველოს უფროსად; 1997-2005 წლებში — რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოში მრჩევლად ეკონომიკურ საკითხებში, მთავარ ბუღალტრად.

# „ბენდელას თასი" - ნაციონალებს

დასრულდა „ბენდელას თასის" მე-14 ტრადიციული ტურნირი. გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები როგორც ბავშვებში, ისე ძირითად ტურნირში.

მთელი ტურნირის განმავლობაში, მოზარდებში საუკეთესოდ ითამაშა „ლოკომოტივმა", რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე ბათუმის „ლუკა", ხოლო მესამეზე „ოლიმპი 2" გავიდა. რაც შეეხება თენგიზ სულაქველიძის აკადემიას, ამ გუნდს მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგო.

დაასახელეს სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარე — **გიორგი ასლამაზიშვილი** („ლოკომოტივი"), მცველი — **ირაკლი ჩხეიძე** (თ.ს. „აკადემია"), მოთამაშე — **ირაკლი ღურკენაშვილი** („ლოკომოტივი"), ტექნიკური მოთამაშე — **ნიკა ნარიაშვილი** („ლუკა", ბათუმი), საუკეთესო გოლი — **გიორგი კვარაცხელია** („ლოკომოტივი"), თავდამსხმელი — **გიორგი ჯავახიშვილი** („ლოკომოტივი"), ბომბარდირი — **გურამ თედიაშვილი** („ოლიმპი 2"), საუკეთესო მწვრთნელები — **თემურ თვალჭრელიძე** („ლოკომოტივი") და **მერაბ ბერიძე** („ლუკა", ბათუმი). ასევე დააჯილდოვეს არბიტრები — **არსენ ნონიკაშვილი** და **ირაკლი ურუშაძე.**

რაც შეეხება ძირითად ტურნირს, მესამე ადგილისათვის „სეუ 2" და სოხუმის „დინამო" იბრძოდნენ. საბოლოოდ სოხუმელებმა იმარჯვეს.

მუსიკალური გაფორმებით, გულშემატკივართა შეძახილებით, ანთებული სანთლებითა და არაჩვეულებრივი განწყობით დაიწყო მთავარი ფინალური შეხვედრა „ნაციონალებისა" და „სეუ ჩემპიონს" შორის, რომელიც დაძაბული ვერ გამოდგა. შეხვედრის დაწყებამდე წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ზაზა ბენდელიანის ხსოვნას. ორივე გუნდი ძლიერი შემადგენლობით ასპარეზობდა. „ნაციონალებმა" შარშანდელი პრიზიორი „სეუ-ჩემპიონი" დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით — 8-1 დავით მუჯირმა და **ლადო ბურდულმა** დუბლით გამოიჩინეს თავი. ალეკო გოგობერიშვილმა ამ თამაშში ერთი, ხოლო საერთო ჯამში მეთორმეტე გოლი გაიტანა. ყველასათვის მოულოდნელი და სასიამოვნო იყო ის ფაქტი, როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა და ფეხბურთზე შეყვარებულმა **გიორგი არველაძემ** ჰეთ-თრიკი შეასრულა. მეკარე **ზურაბ ბათიაშვილის** კარის აღება „სეუ"-ს ფეხბურთელებს გაუჭირდათ. ეს მხოლოდ **შოთა ჯიქიამ** შეძლო.



საბოლოოდ, „ნაციონალები" „ბენდელას" თასის სრულუფლებიანი მფლობელები გახდნენ.

ტრადიციულად აქაც დაასახელეს სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები: საუკეთესო მეკარე — **ზურაბ ბათიაშვილი,** საუკეთესო გოლი — **დავით მუჯირი,** ბომბარდირი — **ალეკო გოგობერიშვილი** (12 გოლი), საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული **ლადო ბურდულს** მიენიჭა, ტურნირის აღმოჩენად კი **გიორგი არველაძე** დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ნომინაციაში გამარჯვებული ერთი გუნდის, „ნაციონალების" წარმომადგენლები არიან.

**ლ. ჭანკოტაძე**

**ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.**

**გუშინ,** საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** შეხვდა „ბენდელას თასის" 2005 წლის გათამაშების გამარჯვებულ „ნაციონალების" გუნდს. შეხვედრას ესწრებოდა სფფ-ს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტმა ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

## საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**XVI ტური**

ცენტრპოინტი — იმედი 14-8
იბერია — ქართლი 7-5
ბერმუხა — ნიკორა 4-5
სოხუმი — აჭარა 6-10

**XVII ტური**

ნიკორა — აჭარა 11-9
ქართლი — ცენტრპოინტი 7-14
ბერმუხა — საბურთალო 6-7
იმედი — იბერია 1-9

**XVIII ტური**

ცენტრპოინტი — იბერია 5-6
ქართლი — იმედი 6-4
საბურთალო — აჭარა 7-6
ნიკორა — სოხუმი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპოინტი | 16 | 13 | 1 | 2 | 144-68 | 40 |
| საბურთალო | 16 | 12 | 3 | 1 | 132-78 | 39 |
| იბერია | 16 | 12 | 2 | 2 | 98-61 | 38 |
| ნიკორა | 16 | 12 | 0 | 4 | 88-69 | 36 |
| აჭარა | 16 | 6 | 1 | 9 | 89-98 | 19 |
| ბერმუხა | 15 | 4 | 2 | 9 | 79-103 | 14 |
| იმედი | 16 | 3 | 1 | 12 | 75-106 | 10 |
| ქართლი | 14 | 2 | 1 | 11 | 68-109 | 7 |
| სოხუმი | 15 | 0 | 1 | 14 | 68-149 | 1 |

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სილვიო ბერლუსკონი: „შევჩენკო კიდევ მოიპოვებს „ოქროს ბურთს“

*69 წლის სილვიო ბერლუსკონი აპენინის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა დასავლეთ ევროპაში. ბერლუსკონის პოპულარობა ფეხბურთიდან დაიწყო; 1986 წელს იგი საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მფლობელიც გახდა და პრეზიდენტიც. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში „მილანმა“ 23 ტიტული მოიგო და ევროპის გრანდთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. გთავაზობთ სილვიო ბერლუსკონის მიერ იტალიურ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუს.*



◆ ***გახსოვთ თუ არა, როგორ გახდით „მილანის“ მფლობელი 20 წლის წინათ?***

— დიახ. ამას წინ უძღოდა ერთწლიანი მოლაპარაკებები კლუბის ძველ ხელმძღვანელობასთან. თავიდანვე საქმე კარგად ვერ მიდიოდა, გარკვეულ საკითხებზე ვერ ვთანხმდებოდით. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

◆ ***კმაყოფილი ხართ იმით, რასაც მიაღწია „მილანმა“ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში?***

— რა თქმა უნდა, მე „მილანის“ ისტორიაში ყველაზე წარმატებული პრეზიდენტი ვარ და არა მხოლოდ „მილანის“ ისტორიაში — ასეთი წარმატებებისათვის იტალიის არც ერთი კლუბის პრეზიდენტს არ მიუღწევია. „მილანმა“ ტიტულები ლამაზი ფეხბურთის დემონსტრირებით მოიპოვა. დარწმუნებული ვარ, რომ „მილანი“ უახლოეს 20 წლიწადშიც ასეთ დონეზე ითამაშებს.

◆ ***დღეს იტალიურ მინდვრებზე ტურინის „იუვენტუსი“ დომინირებს. ამ კლუბის პრეზიდენტი ლუჩანო მოჯის სერია „ა“-ში პირველ კაცად თვლიან. თქვენ რას იტყვით?***

— ლუჩანო მოჯი პროფესიონალია. მას ძალიან კარგად ესმის საფეხბურთო საქმეები და დამსახურებულად აღწევს წარმატებებს.

◆ ***დღეს რით არის ძლიერი „იუვენტუსი“ „მილანზე“?***

— პირველ წრეში ჩვენ დავამარცხეთ „ბებერი ქალბატონი“, სატურნირო ცხრილში კი მას ჩამოვრჩებით. ეს ჩვენი გუნდის არასტაბილური თამაშის ბრალია.

◆ ***„იუვენტუსის“ ამჟამინდელ მწვრთნელთან ფაბიო კაპელოსთან არის დაკავშირებული „მილანის“ მნიშვნელოვანი წარმატებები გარკვეულ პერიოდში...***

— „მილანში“ ჩემი მოღვაწეობის 20 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი გამოგონება ის არის, რომ ფაბიო კაპელო პროფესიონალ მწვრთნელად „ჩამოვაყალიბე“. ის იდეალური სპეციალისტია სუპერკლუბებისათვის. „იუვენტუსი“ ალბათ, მადლობელი უნდა იყოს, რომ იტალიურ ფეხბურთს ისეთი პროფესიონალი მწვრთნელი ვაჩუქე, როგორიც ფაბიო კაპელოა.

◆ ***როცა კაპელო „მილანში“ მუშაობდა, თქვენი გუნდი ისეთი სხვაობით გაუსწრებდა ხოლმე კონკურენტებს, მისი დამწევი არავინ იყო. ახლა კაპელოს „იუვენტუსი“ მიჰყავს წინ... გაქვთ იმედი, რომ ამ სეზონში დაეწევით „ბებერ ქალბატონს“?***

— იმედი ყოველთვის გვაქვს... უკანასკნელ მომენტამდე. მახსოვს ასეთი ისტორია: ერთ დროს კაპელო „რომას“ წვრთნიდა და ეს გუნდიც საგრძნობლად უსწრებდა კონკურენტებს, „სკუდეტო“ კი „მილანმა“ მოიგო. ასე რომ, ამ სეზონში „მილანი“ დანებებას არ აპირებს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

◆ ***წელს „ინტერი“ კარგად ასპარეზობს. ის კი არა, მილანური დერბიც მოიგო... ახლა ეს გუნდი ქულით გისწრებთ. იქნებ, ამ გუნდის ტრიუმფით დასრულდეს წლევანდელი სეზონი?***

— ჩვენც და „ინტერიც“ თანაბარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ორივეს ერთი მიზანი გვაქვს — უნდა დავეწიოთ „იუვენტუსს“. ყველაფერს მეორე წრე გვიჩვენებს.

◆ ***რას იტყვით შევჩენკო-ჯილარდინოს დუეტზე?***

— დიდებული ტანდემია, რომელიც ძალიან მომწონს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მილანს“ აგრეთვე ჰყავს ფილიპო ინძაგი და კრისტიან ვიერი.

◆ ***თავის დროზე „მილანში“ მარკო ვან ბასტენი ბრწყინავდა. მან სამჯერ მოიგო „ოქროს ბურთი“. შეუძლია თუ არა უკრაინელ ფორვარდს ანდრეი შევჩენკოს, გაიმეოროს ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის მიღწევა?***



— მოხარული ვარ, რომ შევჩენკომ ერთხელ უკვე შეძლო „ოქროს ბურთის“ მოგება. ეს ჯილდო მან ნამდვილად დაიმსახურა. ანდრეის დიდი ტალანტი აქვს, — ის გოლებით ცხოვრობს. ვფიქრობ, რომ ის გაიმეორებს მარკო ვან ბასტენის მიღწევას.

◆ ***ორიოდე სიტყვით „მილანის“ ბრაზილიელ ვარსკვლავზე — კაკაზე...***

— ის „მილანში“ გამოჩენის დღიდან ძალიან მალე იქცა მოკაშკაშე ვარსკვლავად. კაკას დიდი წვლილი მიუძღვის „მილანის“ ბოლოდროინდელ წარმატებებში. კაკა თავისი თამაშის სტილით მაგონებს ლეგენდარულ სკიაფინოს. მას ფენომენალური ტექნიკა და სისწრაფე აქვს.

◆ ***უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის კენჭისყრამ „მილანს“ მეტოქედ მიუნხენის „ბაიერნი“ არგუნა...***

— დამიჯერეთ, მოხარული ვარ ამით. „მილანი“ ევროტურნირებზე უკვე სამჯერ შეხვდა „ბაიერნს“. ერთხელ თასების თასზე და ორჯერ ჩემპიონთა თასზე. სამივეჯერ ვაჯობეთ გერმანულ კლუბს. სამივე შემთხვევის დროს თვით ტურნირებიც მოვიგეთ. ასე რომ, „ბაიერნთან“ შეხვედრების ისტორია საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ მთავრდებოდა. იმედი მაქვს, რომ „ბაიერნი“ ისევ მოგვაგებინებს ტურნირს (იცინის).

◆ ***ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება „მილანის“ მთავარი ამოცანაა მიმდინარე სეზონში?***

— უეფას ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირია. 2006 წელს სრულდება ზუსტად 20 წლიწადი მას შემდეგ, რაც „მილანის“ მფლობელი გავხდი და ჩემთვის დიდი საჩუქარი იქნება თუ ჩემი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებს.

◆ ***ვის ისურვებდით ფინალში მეტოქედ?***

— ძნელია წინასწარ გამოცნობა, თუ ვინ მოხვდება ფინალში. შარშანდელი მაგალითი ავიღოთ. ჩემპიონთა ლიგა მოიგო „ლივერპულმა“, რომელიც ფინალურ შეხვედრას დიდი ანგარიშით აგებდა... მთავარია, ჩვენ ფინალში გავიდეთ. ისე, არ მსურს, ფინალში „იუვენტუსს“ ან „ინტერს“ შევხვდეთ. მინდა, რომ ასეთი პრესტიჟული ევროპული ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრის დროს მთელმა იტალიამ გაგვიწიოს გულშემატკივრობა.

◆ ***იქნებ, ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ გუნდში მარკო ვან ბასტენი დააბრუნოთ უკვე მწვრთნელის რანგში?***

— ვან ბასტენს დიდ პატივს ვცემ. ის ჩვენი კლუბის ლეგენდაა. ახლა ძალიან კარგად მუშაობს ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. არ მიცდია მისი გადმობირება. როცა მეკითხებიან, მომწონს თუ არა ვან ბასტენის მუშაობა, დადებითად ვპასუხობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარკო მალე „მილანში“ გამოჩნდება. მე კმაყოფილი ვარ კარლო ანჩელოტის მუშაობით და მის შეცვლაზე სულაც არ ვფიქრობთ. ანჩელოტიმ ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა „მილანისათვის“ და დარწმუნებული ვართ, ის მომავალში ახალ წარმატებებს მოუტანს ჩვენს გუნდს.

## საშობაო ფეხბურთი

მაშინ, როცა ევროპის თითქმის ყველა წამყვან საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატებში საშობაო არდადეგებია, ინგლისში სწორედ მაშინ „ელვიძებათ მადა“ და ყოველ სამ დღეში ერთხელ პრემიერლიგის შეხვედრები ტარდება. თუკი მე-18 ტური ორშაბათს გაიმართა, ორ დღეში მე-19 ტურიც გაწვლეს გუნდებმა.

ერთპიროვნულმა ლიდერმა ლონდონის „ჩელსიმ“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა — სტუმრად მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია „მანჩესტერ სიტის“. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის 79-ე წუთზე ჯო კოულმა გაიტანა.

***ამ შეხვედრაში რომან აბრამოვიჩის გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:*** ჩეხი, დელ ორნო, გალასი, ტერი, ჯო კოული, დაფი (რობენი, 58), ესიენი, ქერემი, მაკელელე, გუდიონსენი (ფერეირა, 83), დროგბა (კრესპო, 58). გამარჯვების შედეგად „ჩელსიმ“ 11 ქულამდე გაზარდა სხვაობა უახლოეს მდევართან — „მანჩესტერ იუნაიტედთან“. საქმე ის არის, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდმა სტუმრად ვერ მოახერხა „ბირმინგემის“ დამარცხება — 2-2. საინტერესოა, რომ სტუმრები ორჯერ დაწინაურდნენ ვან ნისტელროისა და რუნის მიერ გატანილი ბურთების წყალობით, მაგრამ ორივეჯერ „ბირმინგემის“ ფეხბურთელებმა მაინც მოახერხეს წონასწორობის აღდგენა.



**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ვან დერ საარი, ფერდინანდი, გ. ნევილი, ოში, ფლეტჩერი, რიჩარდსონი (გიგზი, 86), რონალდო (სოლსკიაერი, 83), სკოულზი, სმიტი (პარკი, 83), რუნი, ვან ნისტელროი.

მანჩესტერელებს სატურნირო ცხრილში უკვე უახლოვდება ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ლივერპული“. ამ გუნდმა მორიგი სამი ქულა მოიპოვა — სტუმრად 3-1 დაამარცხა „ევერტონი“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კრაუჩმა, ჯერარდმა და სისემ.

**„ლივერპული“:** რეინა, კარაგერი, ფინენი, ჰიუპია, ხავი ალონსო, ჯერარდი (ლუის გარსია, 85), კიელი (რიისე, 80), სისოკო, ცორნოკი, სისე, კრაუჩი (მორიენტესი, 77).

***სხვა შეხვედრები:*** „ვესტ ჰემი“ — „უიგანი“ 0-2, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ტოტენჰემი“ 2-0, „არსენალი“ — „პორტსმუთი“ 4-0, „ფულემი“ — „ასტონ ვილა“ 3-3, „ბლეკბერნი“ — „სანდერლენდი“, „ბოლტონი — „მიდლსბრო“ და „ნიუკასლი“ — „ჩარლტონი“ გადაიდო.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 19 | 17 | 1 | 1 | 41-9 | 52 |
| მანჩ. იუნ. | 19 | 12 | 5 | 2 | 36-16 | 41 |
| ლივერპული | 17 | 11 | 4 | 2 | 25-9 | 37 |
| ტოტენჰემი | 19 | 9 | 7 | 3 | 27-13 | 34 |
| უიგანი | 19 | 11 | 1 | 7 | 25-21 | 34 |

**მომდევნო ტური 31 დეკემბერს გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან:** „ასტონ ვილა“ — „არსენალი“, „ტოტენჰემი“ — „ნიუკასლი“, „ჩელსი“ — „ბირმინგემი“, „ჩარლტონი“ — „ვესტ ჰემი“, „მიდლსბრო“ — „მანჩესტერ სიტი“, „ლივერპული“ — „ვესტ ბრომვიჩი“, „უიგანი“ — „ბლეკბერნი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბოლტონი“, „სანდერლენდი“ — „ევერტონი“, „პორტსმუთი“ — „ფულემი“.

## სტივენ ჯერარდს სჯერა, რომ „ლივერპული“ აბრამოვიჩის გუნდს გაუსწრებს



ინგლისური საფეხბურთო კლუბის „ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მას და მის თანაგუნდელებს ძალუძთ მიმდინარე სეზონში გაუსწრონ ლონდონის „ჩელსის“:

„ჩვენ ბოლომდე მონდომებით ვიბრძოლებთ ჩემპიონის ტიტულისათვის. ჩემი თანაგუნდელების თვალებში მხოლოდ გამარჯვების წყურვილს ვხედავ. დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე სეზონი ჩვენთვის წარმატებული იქნება,“ — ამბობს ლივერპულელთა კაპიტანი.

## კაპელო: „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელისათვის ოცნებაა

იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ ალექს ფერგიუსონის შემცვლელად იწვევდნენ ტურინის „იუვენტუსის“ მთავარ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს. ამასთან დაკავშირებით კაპელომ ჟურნალისტებს განუცხადა: „იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი, ეს ოცნებაა, მაგრამ მერწმუნეთ, მანჩესტერიდან არავინ შემხმიანებია. გარდა ამისა, ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ვმუშაობ „იუვენტუსში“. ამ სეზონში ვაპირებ როგორც სერია „ა“-ს, ისე, უეფას ჩემპიონთა ლიგის მოგებას. შემდეგ კი ვნახოთ, არ გამოვრიცხავ მომავალში სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას ინგლისში“.

## მარადონა — ისევ ფეხბურთში?

დიეგო მარადონამ მორიგი სენსაციური განცხადება გააკეთა: ის არ გამორიცხავს ფეხბურთში დაბრუნებას. თუ ეს მოხდა, მაშინ არგენტინელი ფეხბურთის ვარსკვლავი მოირგებს თავისი ქვეყნის მეორე დივიზიონის გუნდის — „ექსკურსიონისტასის“ მაისურს.



„მე 45 წლის ვარ, მაგრამ არასოდეს მითქვამს, ფეხბურთს აღარ ვითამაშებ-მეთქი. მე მოველაპარაკები „ექსკურსიონისტასის“ ხელმძღვანელობას. არ არის გამორიცხული, კვლავ გამოვჩნდე მოედანზე“, — ამბობს დიეგო მარადონა.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად მარადონამ 1997 წლის 25 ოქტომბერს ითამაშა „ბოკა ხუნიორსის“ შემადგენლობაში.

## დი სტეფანოს ოპერაცია გადაიტანა

წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ალფრედო დი სტეფანომ გულის არტერიის ზონდირების ოპერაცია გადაიტანა. ექიმების აზრით, პაციენტის ორგანიზმში ქირურგიულმა ჩარევამ კარგად ჩაიარა.

79 წლის არგენტინელი ინფარქტის შედეგად შაბათს ვალენსიის ჰოსპიტალში მოხვდა. შეიქმნა ოპერაციის ჩატარების აუცილებლობა. ოთხშაბათს ამ პროცესმა 5 საათს გასტანა.

ავადმყოფის მდგომარეობა სტაბილურია.

## ჰიდინკის თანაშემწე

ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის გუს ჰიდინკის თანაშემწედ დაინიშნა ჰოლანდიელი სპეციალისტი იოჰან ნეესკენსი. ჰიდინკს კიდევ ერთი ასისტენტი ჰყავს — „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენელი გრემ არნოლდი.

## 14 წლის შემდეგ...

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ჟოვანი ელბერი 14-წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „კრუზეიროსთან“.

## ლარსონი სამშობლოში ბრუნდება?

„ბარსელონას“ შვედმა თავდამსხმელმა ჰენრიკ ლარსონმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკვე ფიქრობს კატალონიური კლუბიდან წასვლაზე.

„დროა ვიფიქრო მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებაზე“, — ამბობს ლარსონი.

## ტიერი ანრი საფრანგეთში საუკეთესოა

„ფრანს ფუტბოლმა“ ჩაატარა გამოკითხვა საფრანგეთის 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. ჟურნალისტების ხმების უმრავლესობა ლონდონის „არსენალში“ მოთამაშე ტიერი ანრიმ მიიღო. აღსანიშნავია, რომ იგი საუკეთესოდ ასევე დასახელდა 2000, 2003 და 2004 წლებში.



# ნბა

## „ატლანტა“ აგებს...



ოთხშაბათს, ნბა-ს ჩემპიონატის მორიგ ტურში წარუმატებლად ითამაშა ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“, რომელიც საკუთარ მოედანზე სამი ქულის სხვაობით 90:93 დამარცხდა „შარლოტასთან“. სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ნაიტი, რომელმაც 22 ქულა შესძინა „შარლოტას“. რაც შეეხება „ატლანტას“, ამ გუნდის შემადგენლობაში აქტიურობდა ჰერინგტონი, რომელმაც 19 ქულა მოაგროვა და 8-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„მაიამიმ“ 11 ქულის სხვაობით სძლია „მილუოკს“ — 109:98. მოედანზე საუკეთესო იყო უეიდი, რომელმაც „მაიამს“ 35 ქულა შესძინა. შაკილ ო,ნილის ანგარიშზე კი 23 ქულაა. „კლივლენდი“ სტუმრად 91:96 დამარცხდა „ნიუ ჯერსისთან“. სტუმრებს ვერ უშველა ლებრონ ჯეიმსის მორიგმა გაბრწყინებამ. ამ კალათბურთელმა 31 ქულა მოაგროვა, 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 8 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. ასევე ვერ უშველა ენტონიმ თავის მიერ მოპოვებული 45 ქულით „დენვერს“, რომელიც საკუთარ მოედანზე „ფილადელფიასთან“ დამარცხდა 106:108. სტუმართა რიგებში საუკეთესონი იყვნენ აივერსონი და ვებერი, რომლებმაც შესაბამისად 36 და 32 ქულა დააგროვეს.

**ოთხშაბათის სხვა შეხვედრები:** „დეტროიტი“ — „ტორონტო“ 113:106, „სან ანტონიო“ — „ინდიანა“ 99:86, „კლიპერსი“ — „საკრამენტო“ 93:110, „ჰიუსტონი“ — „იუტა“ 74:82.

**გუშინ** „ლეიკერსი“ დაძაბულ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა „მემფისთან“ — 99:100. კობი ბრაიანტმა 45 ქულა მოაგროვა, თუმცა, ეს საკმარისი არ გამოდგა „ლეიკერსის“ წარმატებისათვის. „ატლანტა“ კი კვლავ დამარცხდა, ამჯერად სტუმრად „ტორონტოსთან“ 102:108.

გუშინდელი სხვა შეხვედრები: „ვაშინგტონი“ — „ფინიქსი“ 99:104, „ორლანდო“ — „ნიუ იორკი“ 105:95, „შარლოტა“ — „ჩიკაგო“ 93:80, „მინესოტა“ — „სიეტლი“ 108:95, „ნიუ იორლეანი“ — „ჰიუსტონი“ 92:90, „პორტლენდი“ — „ფილადელფია“ 95:91, „გოლდენ სტეიტი“ — „ბოსტონი“ 111:109.

**აღმოსავლეთ კონფერენციაში** ლიდერი არ შეცვლილა — „დეტროიტს“ 25 თამაშიდან 22 გამარჯვება აქვს. 16-16 მოგებით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „ნიუ ჯერსი“ და „კლივლენდი“. მე-13 ადგილზეა ფაჩულიას „ატლანტა“, რომლის ანგარიშზე მხოლოდ რვა მოგებაა. თვალშისაცემია „შარლოტას“ ბოლოდროინდელი წარმატებები. ამ გუნდმა ათი მოგებით უკვე მეთორმეტე ადგილზე გადაინაცვლა.

**დასავლეთ კონფერენციაში** „სან-ანტონიო“ ლიდერობს 21 მოპოვებული გამარჯვებით. 26 შეხვედრიდან 19 გამარჯვებით მეორე ადგილზეა „დალასი“, ხოლო მესამეზეა „მემფისი“, რომელსაც 16 მოგება აქვს აქტივში.

## ძეგლი დაუდგეს...

**იამაიკაში ძეგლი დაუდგეს მძლეოსან მერლინ ოტისს, რომელმაც ხუთ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა და მოიპოვა სამი ვერცხლის, ხუთი ბრინჯაოს მედალი. ქალაქ კინგსტონში დადგმული ძეგლის სიმაღლე 2,4 მეტრია. მისი გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო იამაიკის პრემიერ-მინისტრმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.**

## ესპანეთის ნაკრებიდან მწვრთნელი გააძევეს

**ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ქვეყნის ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინა მარიო პესკერას. ამის მიზეზი გახდა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე ესპანელ კალათბურთელთა მარცხი გერმანიისა და საფრანგეთის გუნდებთან. მარიო პესკერა ესპანეთის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა 2004 წელს. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 27 ჩატარებულ შეხვედრაში 22 გამარჯვება მოიპოვა: ის ხუთი წაგებული მატჩი კი მეტად მნიშვნელოვანი იყო. ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პესკერას კონფლიქტი ჰქონდა ნაკრების რამდენიმე წამყვან მოთამაშესთან.**

**თვით მწვრთნელმა ბრალდება უარყო. „მე ნაკრების ყველა წევრთან სრულიად ნორმალური ურთიერთობა მქონდა“, – ამბობს მარიო პესკერა.**

**ახლა ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ. მათ შორის არიან პედრო მარტინესი, ხოსე ვისენტე ერნანდესი.**

## გრეტცკი ისევ დაბრუნდა

ლეგენდარული ჰოკეისტი უეინ გრეტცკი ათდღიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ნჰლ-ის გუნდს „ფინიქსს“. ამის მიზეზი იყო ჰოკეისტის დედის სიკვდილი. ფილის გრეტცკი კიბოთი 19 დეკემბერს გარდაიცვალა.

„ეს ათი დღე ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ნამდვილად მძიმე იყო. ჩვენ დავკარგეთ მეტად ახლობელი ადამიანი“, — თქვა გრეტცკიმ.

## მექალთანე ფლავიო

იტალიელი მილიონერი ფლავიო ბრიატორე, რომელიც „ფორმულა-1“-ის გუნდ „რენოს“ მფლობელია, საზოგადოებაში ცნობილია, როგორც მექალთანე. ის არაერთ სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ერთად დაუნახიათ წვეულებებზე. როგორც ამბობენ, 54 წლის მილიონერის სატრფოთა სიამ უკვე ასს გადააჭარბა. ამჟამად ბრიატორე ისვენებს კენიაში საკუთარ ვილაზე. ის ეძებს ახალ მეგობარს და ერთგვარ „კონკურსსაც“ კი ატარებს. როგორც იტალიური პრესა იუწყება, ბრიატორე ორი წლის განმავლობაში ხვდებოდა შავკანიან ლამაზმანს ნაომი კემპბელს. თუ ჭორებს დავუჯერებთ, სატრფოთა სიაში იყვნენ სხვა ცნობილი ლამაზმანებიც: ელ მაკფერსონი, ევა ჰერციგოვა, თამარა მელონი, მერი დონაჰიუ, კრისტინა ესტრადა... აგრეთვე არისტოკრატი ლედი ვიქტორია ჰერნი.





საინტერესოა, რომ მასთან ერთად ერთ დროს იახტაზე იმყოფებოდა სიმონა ვენტურა. როგორც კი მისი და ბრიატორეს ფოტო გამოქვეყნდა პრესაში, მისმა მეუღლემ, ცნობილმა ფეხბურთელმა სტეფანო ბეტალინიმ მაშინვე სასამართლოში შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე. ბრიატორეს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს გერმანელ მოდელ ჰაიდი კლუმთან. ამ უკანასკნელს იტალიელისგან გოგონაც შეეძინა, რომელსაც ლენი დაარქვა. ფლავიო მათ ყოველთვიურად სოლიდურ თანხას უგზავნის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფლავიო ახლა ახალი მეგობრის ძიებაშია.

## ენენ-არდენი ავსტრალიაში მიდის

„როლან-გაროსის“ 2005 წლის გათამაშების გამარჯვებული, ბელგიელი ჩოგბურთელი ქალი ჟიუსტინ ენენ არდენი 3 იანვარს ჩაფრინდება ავსტრალიაში. ის აკლიმატიზაციას გაივლის სიდნეის საერთაშორისო ტურნირამდე, რომელიც 9 იანვარს იწყება. სიდნეის ტურნირი ენენ-არდენისათვის იქნება გენერალური რეპეტიცია ავსტრალიის ღია პირველობისთვის. ბელგიელი ჩოგბურთელი აცხადებს, რომ შეეცდება 2006 წელს რაც შეიძლება მეტი ტურნირი მოიგოს.

„შარშან ტრავმები მტანჯავდა, ახლა სრულიად ჯანმრთელი ვხვდები ახალ სეზონს და დარწმუნებული ვარ წარმატებებს მივაღწევ“, — ამბობს ენენ-არდენი.

## მსოფლიო ჩემპიონი საათებს იპარავდა

**მსოფლიოს ყოფილი ექს-ჩემპიონი კრივში ჯეფ ფენეკი დღეს ავსტრალიის ქალაქ ქუინსლენდის სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას ბრალად ედება მაღაზიიდან საათების მოპარვა. 41 წლის ფენეკი დააკავეს მაშინ, როცა მაღაზიიდან 292 დოლარის ღირებულებ?ს სმი ცალი საათი გაჰქონდა.**

## ბრიტანული ერის შემარცხვენელი

**ისტორიულმა ჟურნალმა „ბი-ბი-სი ჰისთორი მეგეზინმა“ ისტორიკოსებს სთხოვა დაესახელებინათ ათი ყველაზე უარყოფითი პიროვნება დიდი ბრიტანეთის ისტორიაში. ასეთ „უარყოფით ადამიანებს“ შორის პირველი ადგილი დაიკავა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მაქს მოსლის მამამ – ოსვალდ მოსლიმ (1896-1980). ლონდონის ბირკბექის კოლეჯის პროფესორმა ჯოან ბურკმა განაცხადა, რომ ბრიტანული ფაშისტების კავშირის ყოფილი ორგანიზატორის ოსვალდ მოსლის ძველი იდეები საზოგადოებას დღესაც აღიზიანებს.**

**თავის დროზე 2000 წელს, მაქს მოსლიმ განაცხადა: მე მამაჩემთან დაკავშირებით ყოველთვის მქონდა პრობლემები მანამ, ვიდრე ავტოსპორტით დავკავდებოდი. სპორტის ამ სფეროში ჩაბმული რომ მიხილეს, ბევრმა ჩათვალა, რომ სატვირთო ავტომობილების ცნობილი მწარმოებლის ალფ მოსლის მემკვიდრე ვყავი. ჩემთვის გავიფიქრე: „ბოლოს და ბოლოს, ავტოსპორტში ვიპოვე სამყარო, სადაც არაფერი იციან ოსვალდ მოსლის შესახებ“.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**30 დეკემბერი, პარასკევი**

HTB плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.00). საჭადრაკო მიმოხილვა (11.25). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (11.55), კვირის მიმოხილვა (14.15). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (15.00). ტაილანდური კრივი (16.05). ბადმინტონი. საერთაშორისო ტურნირი დანიაში (17.15). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „კაროლინა“ — „ფილადელფია“ (20.00). „ბურთი და ფარი“ (22.00). ჰოკეი. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი (22.45). ახალი ამბები (1.20). „ნოკაუტი“ (1.40). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (2.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „სანხოსე“ — „კოლორადო“ (7.25). EUROSPORT. ოლიმპიური თამაშები. მიზანი — ტურინი (12.00). სათხილამურო სპორტი. თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან (13.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან. 1986 წელი. მექსიკა (20.00). დიდების დარბაზი (21.00). ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლა გერმანიაში (23.00). რალი. პარიზი — დაკარი (1.30). ექსტრემალური სპორტი (3.00).

**31 დეკემბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ასტონ ვილა“ — „არსენალი“ (16.45). HTB плюс спорт. გადაცემა ფრენბურთზე — „ექვსი ექვსზე“ (12.00). „თოვლის სამყარო“ (12.30). „ნოკაუტი“ (13.00). ამერიკული ფეხბურთი (13.30). „ბურთი და ფარი“ (14.45). ჭადრაკი (15.30). ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი შვეიცარიაში (15.45). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „ვაშინგტონი“ — „მაიამი“ (17.35). ფრისტაილი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (19.30). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „სან ხოსე“ — „კოლორადო“ (21.00). ჩოგბურთი. ფედერაციის თასის გათამაშების მიმოხილვა (23.00). სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00). „სპორტული გლობუსი“ (3.30). ჰოკეი. მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატი (3.55). EUROSPORT. რალი. პარიზი — დაკარი (6.00). თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (12.00). რბოლა. 10 კმ. ქალები (13.00). ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლა გერმანიაში (16.30). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან. 1994 წელი (20.00). რალი (1.30). ფეხბურთი. პროგრამა „გოლი“ (4.30).

**1 იანვარი, კვირა**

HTB плюс спорт. ბილიარდი (13.00). ჰოკეი. სსრკ-სა და ნჰლ-ის გუნდების სუპერსერიის 30 წლისთავთან დაკავშირებით. ცსკა — „მონრეალი“ (15.00). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „დენვერი“ — „სან-ანტონიო“ (17.25). „დიდი რინგი“ (20.00). ჰოკეი. მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატი (22.00). სპორტული ცეკვები. მსოფლიოს ჩემპიონატი (0.00). ამერიკული ფეხბურთი (1.15). EUROSPORT. რალი. პარიზი — დაკარი (11.30). ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლა გერმანიაში (13.00). თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან (14.30). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მიმოხილვა (17.00). საბრძოლო ხელოვნების კლუბი (20.45). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან. 1990 წელი. გერმანია — ინგლისი (22.00). რალი. პარიზი — დაკარი (1.30). ოლიმპიური თამაშები. მიზანი — ტურინი (2.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი, 8. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, თამაშობდა 1979-82 წლებში, გიორგი... 9. გფრ-ის ნიჩბოსანი 50-60-იან წლებში მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, იოლიმპიური პრიზიორი (1956), ფრიც... 10. იტალიის საფეხბ. კლუბი, 11. ბრაზილიელი ფეხბურთელი მს. ჩემპიონი (1958, 1962), 12. ფეხბურთის ძელებზე გაკრული მსხვილად ნაქსოვი... 16. დისტანცია საშუალო, გრძელი და... 18. წარსულში ცნობილი ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი, 19. ისრაელის საფეხბურთო კლუბი, 21. მწვერვალი კავკასიონზე, 22. წარსულში მოცურავეთა აღმზრდელი, თინათინ ლეკვეიშვილის მწვრთნელი, მარგარიტა... 23. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 24. სისხლნაკლულობა, ანუ... 25. წარსულში (30-40-იანი წლები) ცნობილი რუსი ფეხბურთელი და ჰოკეისტი, სერგეი...

**შვეულად:** 2. „რომას“ ფეხბურთელი, 3. საკალათბურთო ინვენტარი, რაზედაც დამაგრებულია კალათა, 4. ვეტერანი რუმინელი ფეხბურთელი, 5. ოლ. ჩემპიონი (1968) იაპონელი ტანმოვარჯიშე, სავაო... 6. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი, 7. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 8. სპორტული ჟურნალისტი, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი, 9. ევროპის ქვეყნის დედაქალაქი, 11. ცნობილი ბერძენი ძალოსანი, 13. ცნობილი ქართველი კალათბურთელი, 14. პეტერბურგის საფეხბურთო კლუბი, 15. ასპარეზობის დასასრული, 17. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, რომელსაც ჰქვია აბელის ძმის სახელი, 18. გორა ბაკურიანში, 20. საჭადრაკო ფიგურა, 22. პროფესიონალი მოკრივე.



მოამზადა
ნოდარ ჯაჭვაძემ

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ფარვა, 4. გეიმი, 6. ბობი, 9. „ბახმარო“, 10. როდმანი, 11. ელი, 12. საკი, 13. სეტი, 15. სტუ, 16. ბლატერი, 18. სისე, 22. სპრინტი, 24. კარალიოვი, 25. ზლატო, 26. ათლი, 27. იტალია.

**შვეულად:** 2. არბალეტი, 3. ახმეტელი, 4. გურული, 5. მარიო, 7. „ბანიკი“, 8. ოდა, 12. სარბიელი, 14. ეტაპი, 17. ჩუი, 18. სტამი, 19. სტილი, 20. სკრა, 21. ევრა, 23. ტოტი.

## საჭადრაკო ამოცანა

მ. ბერულინი
„ვეჩერნი იზვესტია“
(1929 წ.)



შამათი 2 სვლაში

№101-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლh2!!
1. ...... ე:h5 2. e8ლ მფf6 3. f8ლX
2. ...... მფ:d6 3. მb5X

## ისტორიის ერთი დღე

**30 დეკემბერი.** ამ დღეს დაიბადნენ:

**1939 წელს** — ელენა ჩაიკოვსკაია — მწვრთნელი ფიგურულ სრიალში.

**1946** — ბერტ ფოგტსი, ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, მსოფლიო ჩემპიონი.

**1961** — ბენ ჯონსონი, კანადელი სპრინტერი, სეულში 1988 წელს ჩატარებული ოლიმპიური თამაშების სადოპინგო სკანდალის „გმირი“.

**1972** — დანიელ ამოკაჩი, ნიგერიელი ფეხბურთელი. ოლიმპიური ჩემპიონი.

**1973** — ატო ბოლდონი, ტრინიდადელი მძლეოსანი, მსოფლიო ჩემპიონი 200 მეტრ დისტანციაზე რბენაში, 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი 100 მეტრ დისტანციაზე რბენაში.

**1977** — ცზი სინპენი, ჩინელი ბადმინტონისტი, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი.

**„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 2006 წლის 10 იანვარს.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com